


გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის XX საერთაშორისო ფესტივალი

GIORGI GARAKANIDZE BATUMI 20TH INTERNATIONAL FESTIVAL OF FOLK AND CHURCH MUSIC



ბათუმი 2026

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის XX საერთაშორისო ფესტივალი

GIORGI GARAKANIDZE BATUMI 20TH INTERNATIONAL FESTIVAL OF FOLK AND CHURCH MUSIC

ბათუმი 2026

საორგანიზაციო ჯგუფი:

ხათუნა მანაგაძე

სალომე ჩიკაშუა

ანა ხაჟომია

ანანო კახიძე

The Organizing Group:

Khatuna Managadze

Salome Chikashua

Ana Khazhomia

Anano kakhidze

ა(ა)იპ არტ-ალტერნატივა

ქალაქ ბათუმის მერია

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

NLE Art-Alternativa

Batumi City Hall

Batumi Art University

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი

2005 წელს დაარსებული ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი ყოველწლიურად, შემოდგომაზე, სამი დღის განმავლობაში იმართება. 2012 წლიდან ფესტივალს ახალგაზრდა ქართველი ეთნომუსიკოლოგის, გიორგი გარაყანიძის სახელი მიენიჭა.

მუსიკალური ფოლკლორი და სასულიერო მუსიკა ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. ამ მდიდარი მემკვიდრეობის დაცვა და მისი თანამედროვე კულტურულ პროცესებთან დაკავშირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა ფესტივალი აერთიანებს შემოქმედებით და სამეცნიერო მიმართულებებს – კონცერტებს, საშემსრულებლო პროგრამებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც ქართველი და უცხოელი მეცნიერები მონაწილეობენ.

GIORGI GARAKANIDZE BATUMI INTERNATIONAL FESTIVAL OF FOLKLORE AND SACRED MUSIC

Founded in 2005, the Batumi International Festival of Folklore and Sacred Music is held annually in autumn and spans three days. Since 2012, the festival has been named after Giorgi Garakanidze, a young Georgian ethnomusicologist.

Musical folklore and sacred music are an integral part of Georgia’s cultural heritage. Preserving this rich legacy and connecting it with contemporary cultural processes is one of the festival’s core values.

The festival brings together artistic and scholarly activities, featuring concerts, performance programmes, and an international scientific conference that welcomes Georgian and international scholars.



გიორგი (გიგი) გარაყანიძე საკუთარი ინიციატივით მართავდა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს: იმერეთში (2004, 2005, 2007), სვანეთში (2006), ქართლში (2004, 2010, 2011), კახეთში (2004, 2010), თიანეთში (2007).

1999 წლიდან ატარებდა ლექციებსა და ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასებს საფრანგეთის, ინგლისის, შოტლანდიის, უელსის ხალხური მუსიკის შემსრულებელ პროფესიონალთა და მოყვარულთა ჯგუფებთან; მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს.

არის ფუნდამენტური ნაშრომის „ქართული ეთნომუსიკის თეატრი და მისი ტრადიციები“.

გიგი გარაყანიძე გარდაიცვალა 2012 წლის 11 ივნისს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით დაფუძნებულმა „ქართული გალობისა და სიმღერის ფონდმა“ დააწესა გიგი გარაყანიძის სახელობის პრემია, რომელიც ყოველი წლის 14 მაისს – ქართული გალობისა და სიმღერის დღეს – გადაეცემა ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის ახალგაზრდა მკვლევრებს. გიგი გარაყანიძის გარდაცვალების შემდეგ ტრადიციული საერო და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალს მისი სახელი მიენიჭა.

GIORGI (GIGI) GARAKANIDZE – the Master of the History Sciences, Ethnomusicologist. The head of the ethno-culture research center at Tbilisi St. Andrew Cathedral; the Art director of Edisher Garakanidze ethno-music theater ”Mtiebi” and the youth folk-ethnographic studio ”Amer-Immeri” at Blue Monastery. He was born in Tbilisi, on April 14, 1982

He was the participant of a large number of scientific conferences and published eight articles in the scientific and popular journals. In 2008 he published a voluminous monograph – ”Georgian ethnic theater and its foundations” with the English summary and video examples.

Since 1999 he gave lectures and the master classes on Georgian folk songs together with the professional and amateur singer groups of France, England, Scotland, Wales.

Giorgi Garakanidze died on June 11, 2012. He was buried in the Saburtalo Pantheon in Tbilisi.

The ”Georgian chanting and singing foundation” under the blessing of Catholicos – Patriarch of entire Georgia established Gigi Garakanidze Award, which annually, on May 14 – the day of Georgian chanting and song – is granted to the young researchers of the Georgian folk songs and chanting. After Gigi Garakanidze’s death, Batumi international festival of the traditional secular and religious music was named after him.

მოხარული ვარ, ბათუმი კვლავ მასპინძლობს გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს – მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, რომელიც ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის დაცვას, პოპულარიზაციასა და საერთაშორისო კულტურულ სივრცეში წარმოჩენას ემსახურება.

ქართული მრავალხმიანობა და სასულიერო მუსიკა ჩვენი იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ფესტივალი კი უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის ქართველი და უცხოელი შემსრულებლებისა და მკვლევრების შეხვედრისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და ახალი თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ჩართულობა, რადგან სწორედ მათი მონაწილეობით იქმნება ქართული ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების მყარი საფუძველი.

ბათუმის მერია მომავალშიც განაგრძობს ფესტივალის მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს ისეთი ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას კიდევ უფრო გაამდიდრებს.

ვულოცავ ფესტივალს 20 წლის იუბილეს. მონაწილეებსა და სტუმრებს წარმატებულ, საინტერესო და შთამბეჭდავ ფესტივალს ვუსურვებ.

გიორგი ცინცაძე

ბათუმის მერი

I am delighted that Batumi is once again hosting the Giorgi Garakanidze International Festival of Folk and Sacred Music – an important cultural event dedicated to preserving and promoting Georgia's musical heritage and showcasing it on the international cultural stage.

Georgian polyphonic singing and sacred music are an important part of our national identity. The festival provides a unique opportunity for Georgian and international performers and researchers to come together, exchange experience, and establish new avenues for cooperation.

The involvement of the younger generation is particularly important, as their participation lays a strong foundation for the preservation and further development of Georgia's rich folk traditions.

Batumi City Hall will continue to support the festival in the future and contribute to initiatives that further enrich the cultural life of our city and our country.

I warmly congratulate the festival on its 20th anniversary. I wish all participants and guests a successful, inspiring, and memorable festival.

GIORGI TSINTSADZE

Mayor of Batumi

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის სახით ბათუმს კიდევ ერთი გამორჩეული ტრადიცია შეემატა, რომელსაც რამდენიმე წელია ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი მასპინძლობს. ვულოცავ ფესტივალის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს ამ დიდებული ტრადიციის გაგრძელებას და ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს.

მამუკა ალაფიშვილი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი

International Festival of Folk and Church Music has become one of distinguished traditions for Batumi, which has been hosted by the Music Faculty of Batumi Art State University for several years. Congratulations to all the festival participants and organizers on carrying on this magnificent tradition and wish them creative success.

MAMUKA ALAPHISHVILI

Batumi Art state University Rector,
Professor

5 ნოემბერი

18:30 ფესტივალის გახსნა
(ყველა მონაწილე ანსამბლი)
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი

6 ნოემბერი

10:00-15:00 სამეცნიერო კონფერენცია
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი

6 ნოემბერი

19:00 ეთნომუსიკის თეატრი „მთიების“ კონცერტი
(კონცერტი ეძღვნება ედიშერ და გიგი გარაყანიძეებს)
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი

7 ნოემბერი

10:00-15:00 სამეცნიერო კონფერენცია
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი

7 ნოემბერი

19:30 ფესტივალის საზეიმო დახურვა
(ყველა მონაწილე ანსამბლი)
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი

November 5

18:30 Festival Opening
(all participating ensembles)
Concert Hall of Batumi State University of Arts

November 6

10:00-15:00 Scientific Conference
Conference Hall of Batumi State University of Arts

November 6

19:00 Concert by the Ethnomusic Theatre “Mtiebi”
(the concert is dedicated to Edisher and Gigi Garakanidze)
Concert Hall of Batumi State University of Arts

November 7

10:00-15:00 Scientific Conference
Conference Hall of Batumi State University of Arts

November 7

19:30 Festival Closing Ceremony
(all participating ensembles)
Concert Hall of Batumi State University of Arts

6 ნოემბერი, პარასკევი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

საკონფერენციო დარბაზი (მე-3 სართული)

10:00-15:00 (რეგლამენტი 20 წუთი, დისკუსია 10 წუთი)

სხდომის თავმჯდომარე – ხათუნა მანაგაძე

1. **სოფიკო კოტრიკაძე** *(საქართველო)* – ქართული ხალხური მუსიკის ფონოჩანაწერები უცხოურ არქივებში
2. **თამაზ გაბისონია** *(საქართველო)* – ჰიმნის ჟანრის შესახებ ქართულ ხალხურ მუსიკაში
3. **ვიქტორია სამსონაძე** *(საქართველო)* – მესხური ჭონა – აღმოჩენილი ნიმუშები
4. **ალექსანდრა ბალანდინა** *(საბერძნეთი)* – ურბანული ტავერნა, როგორც ხალხური მუსიკის გადაცემის ცოცხალი სივრცე: XIX საუკუნის მიწურულის ათენის კაფე-ამანიდან თანამედროვე კლიმატარიას ტავერნის მაგალითამდე
5. **გვანცა მაისურაძე** *(საქართველო)* – „მთის მარგალიტი“ – გლოლის კილოკავი და მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები
6. **ოლგა ლიდია კოზლოვსკა, აგნეშკა პრშიბილსკა** *(პოლონეთი)* – სიმღერები ცხოვრების გზაზე: პოლონური და ქართული ტრადიციული სიმღერების დიალოგი

შესვენება 15 წუთი

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ გაბისონია

1. **ვაჟა ზუბაშვილი** *(საქართველო)* – ახმეტის ფოლკლორი და ფირუზა ალიაშვილი
2. **რობერტ რიკ** *(უნგრეთი)* – ქართული ხალხური სიმღერის ანალიზის პერსპექტივების გაფართოება
3. **ნატალია ზუმბაძე** *(საქართველო)* – იმერეთის 2007 წლის ექსპედიციების მრავალხმიანი სიმღერების შესწავლისათვის
4. **იან დევილდე** *(ბელგია)* – სასულიერო მუსიკის ხმები საზღვრებს მიღმა: ფლამანდიური მუსიკალური გავლენები ირლანდიასა და კოლონიურ კონგოში
5. **მაკა ხარძიანი** *(საქართველო)* – ქალთა „ხმით ნატირლები“ სვანეთში
6. **მაია გელაშვილი** *(საქართველო)* – ტრადიციული მუსიკალური მემკვიდრეობის ტრანსფორმაცია გურიაში: ფილიმონ ქორიძის ეროვნული ინიციატივიდან საბჭოთა კოლმეურნეობების მოდელამდე (1920-1950-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)

7 ნოემბერი, შაბათი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

საკონფერენციო დარბაზი (მე-3 სართული)
10:00-15:00 (რეგლამენტი 20 წუთი. დისკუსია 10 წუთი)

სხდომის თავმჯდომარე – მაკა ხარძიანი

1. **აბდულაჰ აკატ** *(თურქეთი)* – აუდიოვიზუალური კვლევითი პრაქტიკა, სამეცნიერო კომუნიკაცია და ახალი ინფრასტრუქტურები ეთნომუსიკოლოგიაში
2. **ეკატერინე ონიანი** *(საქართველო)* – ანდერძ-მინაწერები ამბროსი ნეკრესელის ლიტურგიკულ ხელნაწერებში
3. **ანდრეა დურლო** *(იტალია)* – საეკლესიო მუსიკის მოკლე მიმოხილვა
4. **თეონა ბენაშვილი** *(საქართველო)* – აჭარული ტრადიციული მუსიკის ეთნომუსიკოლოგიური შესწავლის ისტორია
5. **ოთარ კაპანაძე** *(საქართველო)* – სვანური სამუსიკო ფოლკლორის მივიწყებული ჟანრის შესახებ
6. **მარიამ სეთურიძე** *(საქართველო)* – მარო თარხნიშვილის ფენომენი ქართულ ფოლკლორში

შესვენება 15 წუთი

სხდომის თავმჯდომარე – ეკატერინე ონიანი

1. **თამარ ჩხეიძე** *(საქართველო)* – თეოლოგიური საზრისიდან მუსიკალურ მოდელამდე: სტიქარონი „რომელი ედემს შინა ოდესმე“ და მისი ჰანგი ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში
2. **კონსტანტინ რაილეანუ** *(რუმინეთი)* – ანტონ პანის ფსალმოდიური ხელოვნების თეორიული წიგნი თანამედროვეობის ჭრილში
3. **მონაზონი ნინო სამხარაძე** *(საქართველო)* – წმიდა კოზმა იერუსალიმელის ვნების კვირის გალობანი
4. **ეკატერინე ყაზარაშვილი** *(საქართველო)* – კომპოზიციური თავისებურებები ქართლ-კახური სკოლის ქრისტეშობის კანონებში
5. **გოჩა ბიძინაშვილი**, **თამარ ღურწკაია** *(საქართველო)* – ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე ჩაწერის სათავეებთან (ახლად მოძიებული საარქივო მასალების მიხედვით)

სოფიკო კოტრიკაძე *(საქართველო)* – ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, კულტურის კვლევების დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი. 2014 წლიდან მუშაობს ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში. არის სხვადასხვა პროექტის მონაწილე, მათ შორის „აჭარული ხალხური სიმღერების“ კრებულის, „მუსიკალური საკრავების კატალოგისა და საკრავიერი მუსიკის სანოტო კრებულის შემდგენელი. ამჟამად ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსით ჩართულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში „ქართული ტრადიციული მუსიკის ჟანრები“. არის ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ წევრი, პრაქტიკოსი მგალობელ-მომღერალი. სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მუსიკალური ფოლკლორის, ტრადიციული ქართული საკრავიერი მუსიკისა და ხალხური მუსიკის შემსრულებლობის საკითხებს. წაკითხული აქვს მოხსენებები 20-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მათ შორის ეთნომუსიკოლოგიურ ფორუმებზე პრაღასა (2014) და სტამბოლში (2019). მიღებული აქვს ქეროლაინ ადამსის ჯილდო საუკეთესო ესეისთვის (2020 წ). გამოქვეყნებული აქვს 10 სამეცნიერო ნაშრომი.

ელ.ფოსტა: sopiko.kotrikadze.1@iliauni.edu.ge

ქართული ხალხური მუსიკის ფონოჩანაწერები უცხოურ არქივებში

1877 წელს თომას ედისონის მიერ ფონოგრაფის გამოგონება კაცობრიობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებზე ქართულ ხალხურ სიმღერებს იწერდნენ არა მხოლოდ ქართველი ეთნომუსიკოლოგები, არამედ უცხოელებიც. ქართული ხალხური მუსიკის ფონოჩანაწერები ინახება მსოფლიოს სხვადასხვა არქივში. ამ ჩანაწერების მოკვლევაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველ ლოტბარსა და მკვლევარს, ანზორ ერქომაიშვილს. მის მიერ მიკვლეული და გამოცემულია უცხოეთში ქართული ფონოჩანაწერების კატალოგი.

მოხსენება მომზადებულია პროექტის „ეთნომუსიკოლოგიის ისტორია საქართველოში“ ფარგლებში, რომლის მხარდამჭერია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. სტატიაში, ანზორ ერქომაიშვილის კატალოგზე დაყრდნობით, განხილული იქნება ლატვიის, რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრიის არქივებში დაცული მასალები. ამას გარდა, ნაშრომში ვეყრდნობი სხვადასხვა დროს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე წარმოდგენილ მოხსენებებს და ჩემთვის ხელმისაწვდომ აუდიომასალებს.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით. [GSDP 26-364 „ეთნომუსიკოლოგიის ისტორია საქართველოში“]

თამაზ გაბისონია *(საქართველო)* — თამაზ გაბისონიამ 1986 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო იქვე, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტში ლაბორანტად (1986-1992), ხოლო შემდეგ — მეცნიერ-თანამშრომლად (1992-2004) და პედაგოგად (1998-2013). ასევე მუშაობდა კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში, როგორც სპეციალისტი და კოორდინატორი სხვადასხვა პროგრამებისა (2002-2012). 2009 წლიდან მუსიკოლოგიის დოქტორია, სპეციალობით — ეთნომუსიკოლოგი. სხვადასხვა წლებში ასევე ასწავლიდა თბილისის კულტურის ინსტიტუტში, ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიაში, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში (იყო დეკანიც), 2011 წლიდან მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად, სადაც ასევე ხელმძღვანელობს სტუდენტურ ფოლკლორულ გუნდს. აქვს 70 სამეცნიერო ნაშრომი. აქტიურად მონაწილეობს საველე-შემკრებლობით ექსპედიციებში.

ელ.ფოსტა: tamazgabisonia@gmail.com

ჰიმნის ჟანრის შესახებ ქართულ ხალხურ მუსიკაში

ჰიმნური ხასიათის სადიდებელი ფუნქციის მქონე სასიმღერო ნიმუშები ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში საკმაოდ ბევრია, თუმცა მათ უმეტესწილად „რიტუალურ“ ან „საბჭოთა მიძღვნის“ ჟანრებში ვაერთიანებთ ხოლმე. ვფიქრობ, ასეთი სიმღერები თუ სალხინო საგალობლები, მიუხედავად სტილისტური მრავალგვაროვნებისა, შესაძლებელია ერთ ჟანრად — „ჰიმნად“ — მოვიაზროთ — მოტივის, შინაარსისა და მოცულობის ზუსტი შესაბამისობის გამო.

ჰიმნი შესაძლებელია იყოს ღვთაებისადმი, გმირისადმი მიმართვა, პატრიოტული თუ იდეოლოგიური მოტივაციისა. გარდა ამისა, ჰიმნის ჟანრი მუსიკალური მახასიათებლებითაც უნდა გამოირჩეოდეს — ნიმუში უნდა იყოს საზეიმო ხასიათისა, სინქრონული, დინჯი სვლით, არ უნდა ჰქონდეს მკაფიოდ წარმოჩენილი სოლო პარტიები და ვოკალთან გათანაბრებული როლის ინსტრუმენტული თანხლება.

სხვა სარიტუალო სადიდებლებისაგან ჰიმნის ჟანრის გამოყოფის ნიშანი შესაძლებელია იყოს ლიტურგიკული ფუნქციის და კალენდარული რეგულაციის არქონა.

ჰიმნის ყველაზე ადეკვატური მაგალითებია სვანური სადიდებლები, მოკლე „მრავალჟამიერები“, პატრიოტულ სიმღერებს შორის გამოირჩევა მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე დაფიქსირებული „განთიადი“, „ვინა სთქვა“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „მარსელიეზა“ და სხვა, მე-20 საუკუნის საავტორო სიმღერები.

ვიქტორია სამსონაძე *(საქართველო)* — დაამთავრა თსკ ფოლკლორის სპეციალობით. არის ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ თანადამფუძნებელი და ფესტივალ „ნანინას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი. სამი ათეული წელია, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2024 წელს მიიღო წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. მისი პედაგოგიური პრაქტიკა მოიცავს: უმაღლესი სასწავლებლების სალექციო კურსებს, საჯარო და კერძო სკოლებში მუსიკის, ვოკალის, ხელოვნებისა და ხალხური სიმღერის გაკვეთილებს. არის ფოლკ-რადიოს საბავშვო რადიოგადაცემის, „ჯადოსნური ურემის“ ავტორი; ანსამბლ „ნანინას“ CD-ს „ნანინას“ დიდი ოჯახი ამღერებული შთამომავლობა“ (2023) იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი; სანოტო კრებულის „სიმღერები ნანინას რეპერტუარიდან“ (2025) მუსიკალური ხელმძღვანელი; პროექტის „ფოლკლორული კარაოკე“ (2026) იდეის ავტორი და მუსიკალური ხელმძღვანელი. ანთოლოგიაში „საქართველო. ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია“ — ავტორი/თანაავტორი სტატიებისა „ლაზეთი“ და „მესხეთი“. ამჟამად ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამცხე-ჯავახეთის სალოტბარო სკოლების ლოტბარი და კონსულტანტია. ჩართულია არაერთ სამეცნიერო პროექტში; მონაწილეა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისა საქართველოში და საზღვარგარეთ.

ელ.ფოსტა: vikanababi@gmail.com

მესხური ჭონა – აღმოჩენილი ნიმუშები

ნაშრომი ეყრდნობა ვალერიან მაღრაძის საექსპედიციო-საარქივო მასალაში აღმოჩენილ მესხური ჭონის დღემდე შეუსწავლელ და უმეტესად გამოუქვეყნებელ მუსიკალურ ჩანაწერებს. მასალაში ჭონის სახელწოდებით ჩაწერილ სიმღერებთან ერთად დაცულია სააღდგომო საგალობლების ნიმუშებიც. აღმოჩენილი მასალა საგრძნობლად აფართოებს ჭონის გავრცელების შესახებ არსებულ წარმოდგენებს და ქმნის მისი მუსიკალური და რიტუალურ-ტექსტობრივი თავისებურებების კვლევის ახალ საფუძველს. მესხური ჭონის შესახებ საყურადღებო ეთნოგრაფიულ ცნობებსა და ტექსტებს სერგი მაკალათია გვაწვდის, რაც კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა.

ჭონისა და ალილოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი ნიმუშების შედარება მათ საერთო არქაულ ნიშნებზე მიუთითებს: კარდაკარ მსვლელობა, სიმღერით მილოცვა, ძღვენის შეგროვება, ბარაქისა და კეთილდღეობის სურვილი და ქრისტიანულ დღესასწაულთან შერწყმული უძველესი რიტუალური წარმოდგენები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჭონის ტრადიციული ფორმულა „ალათასა-ბალათასა“, რომლის სემანტიკური მნიშვნელობა დღემდე უცნობია. მესხურ ნიმუშებში მრავალგზის დაფიქსირებულია ვარიანტი — „ალანთასა-ბალანთასა“, რომელიც მესხეთში არსებული სოფლების სახელწოდებებს — ალანთას და ბალანთას — პირდაპირ უკავშირდება. ჩვენი ჰიპოთეზით, ეს შესაძლოა ჭონის ტექსტის თავდაპირველი სახე ყოფილიყო, რომელიც სხვა კუთხეებში გავრცელებისას, ტოპონიმური მნიშვნელობის დაკარგვის შედეგად, სახეცვლილად დამკვიდრდა.

ალექსანდრა ბალანდინა *(საბერძნეთი)* – ეთნომუსიკოლოგიის პროფესორი საბერძნეთის იონიის უნივერსიტეტის მუსიკისა და აუდიოვიზუალური ხელოვნების სკოლის მუსიკის კვლევების დეპარტამენტში. იგი დაიბადა ტაშკენტში, უზბეკეთში. მისი კვლევითი საქმიანობა აერთიანებს ეთნომუსიკოლოგიას, სოციალურ ანთროპოლოგიასა და აუდიოვიზუალურ კვლევებს, განსაკუთრებული ყურადღებით ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის, ირანის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის მუსიკალური კულტურებისადმი.

მან ეთნომუსიკოლოგიის დოქტორისა და მაგისტრის ხარისხები მიიღო ლონდონის გოლდსმითსის უნივერსიტეტში, პროფესორ ჯონ ბეილის ხელმძღვანელობით. ასევე, ფლობს სოციალური ანთროპოლოგიის ბაკალავრის ხარისხს ათენის პანტეონის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან. მისი სადოქტორო კვლევა, რომელიც ხანგრძლივ ეთნოგრაფიულ საველე მუშაობას ეფუძნებოდა, ირანული კლასიკური მუსიკის თომბაქის (tombak) შესრულების თანამედროვე პრაქტიკებს შეისწავლიდა.

პროფესორ ბალანდინას ფართომასშტაბიანი საველე კვლევები აქვს ჩატარებული ირანში, უზბეკეთში, საბერძნეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს მუსიკალურ შესრულებას, ეთნოგრაფიას, აუდიოვიზუალურ ეთნომუსიკოლოგიას, ცივი ომის პერიოდის რადიომაუწყებლობას, ასევე მუსიკის, პოლიტიკისა და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთკვეთას. იგი არის ღია წვდომის მქონე წიგნის Ethnographic Research in Ethnomusicology („ეთნოგრაფიული კვლევა ეთნომუსიკოლოგიაში“) ავტორი, რომელიც ამჟამად ითარგმნება ინგლისურ და ქართულ ენებზე თბილისის გალობის უნივერსიტეტის მიერ.

აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, იგი აქტიური პერკუსიონისტია და უკრავს თომბაქზე (tombak), ბენდირზე (bendīr) და დაფზე (daf). შვიდი წლის განმავლობაში, 2025 წლამდე, იგი იყო საბერძნეთის ეროვნული ოპერის ინტერკულტურული ორკესტრის (Intercultural Orchestra) წევრი.

ელ.ფოსტა: abalandina@ionio.gr

ურბანული ტავერნა, როგორც ხალხური მუსიკის გადაცემის ცოცხალი სივრცე: XIX საუკუნის მიწურულის ათენის კაფე-ამანიდან თანამედროვე კლიმატარიას ტავერნის მაგალითამდე

ურბანული ტავერნები დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ სივრცეებს, სადაც ხალხური მუსიკა ყოველდღიურ სოციალურ ცხოვრებაში იყო და არის ორგანულად ჩართული. ისინი ქმნიან გარემოს, რომელშიც მუსიკალური ტრადიციები ინახება, გადაეცემა და მუდმივად განახლებადია კოლექტიური მონაწილეობის გზით. სწრაფად ცვალებად ურბანულ კონტექსტებში ტავერნები მუსიკოსებსა და მსმენელებს ხალხურ მუსიკასთან ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევს, რაც, ერთი მხრივ, კულტურული უწყვეტობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, მუსიკის ახალ სოციალურ რეალობებთან ადაპტაციას შესაძლებელს ხდის.

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ბერძნულ ურბანულ ტავერნას, როგორც ხალხური მუსიკის შესრულებისა და გადაცემის ცოცხალ სივრცეს. ისტორიულად, ტავერნა დაკავშირებული იყო სოციალური ურთიერთობის, მუზიცირების, ერთობლივი გართობისა და დროის გატარების პრაქტიკებთან ეს კულტურა ათენში XIX საუკუნის მიწურულიდან განვითარდა. ამ კულტურულ სივრცეში ისეთი დაწესებულებები, როგორიც იყო კაფე-ამანი, ხელს უწყობდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა მუსიკალურ ტრადიციათა შორის ურთიერთობას. მოგვიანებით კი ბერძნულმა კინომ ტავერნული ცხოვრების სახეები შექმნა, რომლებმაც რებეტიკოს მუსიკა, ყოველდღიური სოციალური გამოცდილება და ავთენტურობის შესახებ პოპულარული წარმოდგენები ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა.

ამ ისტორიული და კულტურული კონტექსტის ფონზე, ნაშრომი თანამედროვე შემთხვევის კვლევის სახით განიხილავს ათენში, 1927 წელს დაარსებულ ტავერნა Klimataria-ს. დაკვირვებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, კვლევა შეისწავლის, თუ როგორ უწყობს ხელს ცოცხალი მუსიკალური შესრულება, აუდიტორიის მონაწილეობა და არაფორმალური სოციალური ურთიერთობა ურ-

ბანული ხალხური მუსიკისა და რებეტიკოს ტრადიციების უწყვეტ გადაცემას.

ნაშრომი ამტკიცებს, რომ ტურიზმის, ციფრული მედიაციისა და აუდიტორიის დემოგრაფიული ცვლილებების ზეწოლის მიუხედავად, ურბანული ტავერნა კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. იგი ტრადიციის მუზეუმად კი არ გვევლინება, არამედ რჩება დინამიკურ სოციალურ გარემოდ. ტავერნა უზრუნველყოფს ხალხური მუსიკის ურბანული კულტურის ცოცხალ და განვითარებად ნაწილად დარჩენას, ამასთანავე ხელს უწყობს კოლექტიური მეხსიერების, სოციალური ერთიანობისა და თანამედროვე ქალაქში კუთვნილების განცდის ჩამოყალიბებას.

გვანცა მაისურაძე *(საქართველო)* – ხელოვნების მაგისტრი, დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი“, სწავლობს გალობის უნივერსიტეტში, ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით, მაგისტრატურის საფეხურზე. დაინტერესებულია რაჭული ფოლკლორით. განხორციელებული აქვს საკუთარი ექსპედიციები 2020-2026 წლებში. მუშაობის პროცესში იყენებს საკუთარ საექსპედიციო მასალებს, არსებულ ლიტერატურასთან ერთად. ინტერესები: ფოლკლორი, ქართული ხალხური მუსიკა, საეკლესიო გალობა, ძველი ქართული ხალხური სიმღერების ტრადიციებისა და ადათ-წესების მოძიება, აღდგენა. კონფერენციები: ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2026 წ., მანანა ანდრიაძის სახელობის სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი 2026 წ., ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2025 წ., მანანა ანდრიაძის სახელობის სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი 2025 წ., აღმოსავლეთ ფინეთი, 11 საერთაშორისო კონფერენცია.

ელ.ფოსტა: Gvantsa1677@gmail.com

„მთის მარგალიტი” – გლოლის კილოკავი და მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები

ნაშრომი ეძღვნება მთის რაჭის ერთ-ერთი უძველესი სოფლის, გლოლის ენობრივ და მუსიკალურ-ფოლკლორულ თავისებურებებს. სოფელი გლოლა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, როგორც დიალექტოლოგიური, ისე ეთნომუსიკოლოგიური თვალსაზრისით. ვარლამ თოფურიას კლასიფიკაციის მიხედვით, რაჭული დიალექტის ერთ-ერთ დამოუკიდებელ კილოკავს გლოლური წარმოადგენს, რომელიც არქაული ლექსიკური და გრამატიკული ნიშნებით განსხვავდება სხვა რაჭული მეტყველების ფორმებისაგან. კვლევა ეფუძნება როგორც სამეცნიერო ლიტერატურას, ისე ავტორის მიერ 2025 წელს გლოლაში ჩატარებული საველე ექსპედიციის მასალებს. თანამედროვე სასაუბრო ენაში დღემდე დასტურდება არქაული სიტყვები და ფორმები, რომელთაგან ზოგიერთი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც გვხვდება. აღნიშნული გარემოება გლოლური მეტყველების არქაული ფენების შენარჩუნებაზე მიუთითებს. გლოლა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მუსიკალური ფოლკლორის თვალსაზრისითაც. მთის რაჭაში გავრცელებულია დატირებასთან და შრომით პრაქტიკასთან დაკავშირებული ვოკალური ფორმები – „ქორქალი“ და „ზრუნი“. „ქორქალი“, რომელიც ისტორიულად ქალთა შრომით საქმიანობას, განსაკუთრებით მკას უკავშირდებოდა, თანამედროვე პირობებში ყოველდღიურ ყოფით სივრცეში გადმოინაცვლა და პირადი დარდისა და ემოციური გამოცდილების მუსიკალური გამოხატვის ფორმად იქცა. ავტორის საველე ჩანაწერები ადასტურებს ამ ტრადიციის დღემდე არსებობას გლოლაში. ნაშრომში განხილულია გლოლის ენობრივი და მუსიკალური ტრადიციების ურთიერთმიმართება, მათი არქაული ფენები და თანამედროვე ტრანსფორმაციის პროცესები. კვლევა აჩვენებს, რომ გლოლა წარმოადგენს მნიშვნელოვან კულტურულ სივრცეს, სადაც ენობრივი და მუსიკალური მემკვიდრეობა დღემდე ინარჩუნებს ცოცხალი ტრადიციის ნიშნებს.

ოლგა ლიდია კოზლოვსკა *(პოლონეთი)* – ფსიქოლოგი, სომატური ფსიქოთერაპევტი, ვროცლავის უნივერსიტეტის ლექტორი, მომღერალი და ხმის მკვლევარია. ათ წელზე მეტია, იგი პოლონეთში ქართული მუსიკალური ტრადიციების გაცნობასა და პოპულარიზაციას ეწევა. მისი პროფესიული და მუსიკალური გზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ქართულ ტრადიციულ სიმღერასთან. მისი მასწავლებლები და მენტორები არიან ფრენკ კეინი, ნინო ნანეიშვილი, მადონა და ანა ჩამგელიანები, თურმანიძეების ოჯახი და „ბასიანის“ ანსამბლის წევრი ზურაბ წკრიალაშვილი. 2011 წლიდან ოლგა პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში უძღვება „ავთენტური ხმის“ (Authentic Voice) ვორქშოფებს. ფონდ Chórtownia-სთან თანამშრომლობით იგი ასევე ორგანიზებას უწევს საქართველოში მოგზაურობებს სერიის „სიმღერების წყაროსკენ“ (Journey to the Source of Songs) ფარგლებში. 2019-2022 წლებში ოლგა ვროცლავში „ნანას“ გუნდს ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო „ტრიო უსახელოს“ სხვა წევრები.

ელ.ფოსტა: olga.kozlowska@gmail.com

აგნეშკა პრშიბილსკა *(პოლონეთი)* – მუსიკოთერაპევტი, სომატური პრაქტიკოსი და კულტურის ფასილიტატორია. მან დაამთავრა ლოძის მუსიკის აკადემია, სადაც მუსიკის თერაპიასა და ცეკვისა და თერაპიის სომატიკას სწავლობდა. აგნიეშკა უძღვება სხეულისა და ხმის ვორქშოფებს, ბგერით რელაქსაციის სესიებსა და მუსიკის გაკვეთილებს ბავშვებისთვის. იგი ასევე ქმნის და ახორციელებს სოციალურ პროექტებს, რომლებიც სხეულის ცნობიერებას, მუსიკასა და მრავალხმიან სიმღერას აერთიანებს. მისი ინტერესების მნიშვნელოვანი სფეროა პოლონური ტრადიციული მუსიკა და ტრადიციული პოლონური ცეკვა, რომელთა კვლევასა და პრაქტიკასაც აქტიურად აგრძელებს.

ელ.ფოსტა: aga.przybylska94@gmail.com

სიმღერები ცხოვრების გზაზე: პოლონური და ქართული ტრადიციული სიმღერების დიალოგი

წარმოდგენილი პროექტი იკვლევს პოლონური და ქართული ტრადიციული სიმღერების ურთიერთქმედების შესაძლებლობებს შესრულებაზე დაფუძნებული სამი მოკლე პრეზენტაციის საშუალებით. თითოეული 15-წუთიანი პრეზენტაცია ადამიანის ცხოვრების კონკრეტულ ეტაპსა თუ გამოცდილებასთან დაკავშირებულ რეპერტუარს დაეთმობა: იავნანებს, საქორწილო სიმღერებს და წარმავლობისა და დროის დინების ამსახველ სიმღერებს. ეს სამი თემატური მიმართულება სიმბოლურ ციკლს ქმნის – დაბადებიდან ქორწინებისა და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის გავლით, წარმავლობისა და სიკვდილის გააზრებამდე.

პოლონური და ქართული სიმღერები ერთმანეთთან დიალოგში შევა როგორც თემატური და კულტურული პარალელების, ისე უშუალო მუსიკალური ურთიერთქმედების გზით. ზოგიერთი ნაწარმოები სრულად შესრულდება, ზოგი კი ერთმანეთში გადაიზრდება და საერთო მუსიკალურ სივრცეს შექმნის. ინტუიციური ჰარმონიული შეხამებებისა და ხმოვანი ტექსტურების საშუალებით შევეცდებით გამოვავლინოთ როგორც მსგავსებები და კონტრასტები, ისე მოულოდნელი მუსიკალური თანხვედრები.

პროექტი არ წარმოადგენს პოლონური და ქართული მუსიკალური ტრადიციების ეთნომუსიკოლოგიურ შედარებით ანალიზს. იგი ეფუძნება შემსრულებლების პრაქტიკულ გამოცდილებას და იმ რეალობას, რომელშიც ორივე რეპერტუარი ცოცხალი მუსიკალური პრაქტიკის ნაწილია. სწორედ შესრულების პროცესში ვიკვლევთ, როგორ შეიძლება განსხვავებული კულტურული ტრადიციების სიმღერებმა ერთმანეთის გვერდით ახალი მნიშვნელობები შეიძინოს.

პროექტის მიზანია, მუსიკალური დიალოგის საშუალებით, გამოიკვეთოს ადამიანური გამოცდილების ის საერთო განზომილებები, რომლებიც კულტურული და გეოგრაფიული განსხვავებების მიუხედავად, სიმღერაში უნივერსალურ ფორმას პოულობს. ამგვარად, წარმოდგენა მსმენელს არა მხოლოდ ორი განსხვავებული მუსიკალური ტრადიციის გაცნობას, არამედ მათი ურთიერთშეხების ცოცხლად განცდის შესაძლებლობასაც სთავაზობს.

ვაჟა ზუბაშვილი *(საქართველო)* – კინორეჟისორი, აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აუდიოვიზუალური რეჟისურის სამაგისტრო და აუდიოვიზუალური ხელოვნების სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, ამავე პროგრამების დოკუმენტური კინოს რეჟისურის მოდულების ხელმძღვანელი, კინორეჟისურის (მხატვრული და დოკუმენტური) საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

გადაღებული აქვს 30-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიული და სხვა სამეცნიერო ნაშრომები სატელევიზიო რეკლამის, დოკუმენტური კინოს და ტელერეჟისურის შესახებ.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში“. მუშაობდა ტელემაუწყებლებში: „მე-9 არხი“, „იბერია“, „მზე“. ამჟამად მუშაობს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის არქივის კინო-ფოტო და ვიდეო ფონდების ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

ელ.ფოსტა: vzubashvili@tafu.edu.ge

ახმეტის ფოლკლორი და ფირუზა ალიაშვილი

ჩემი მოხსენება ვერ იქნება კვლევა, ალბათ უფრო ესეი იქნება ჩემი ბავშვობის მეხსიერებაში შემოჩენილ ახმეტის ფოლკლორზე.

ქალაქი ახმეტა გეოგრაფიულად კახეთს მიეკუთვნება, რადგანაც ის ალაზნის დაბლობის სულ თავშია, იქ სადაც მთიდან დაშვებული ალაზანი გამოდის პანკისის ხეობიდან და ბახტრიონის გორის შემოვლით კახეთის დაბლობზე ეშვება. აქ, ახმეტაში, ხვდება მთისა და ბარის ფოლკლორი, ქრისტიანობა და წარმართობა. ქალაქში საკმაოდ იყო განვითარებული მრეწველობა და მუშახელის საჭიროებამ მოსახლეობის მრავალფეროვნებას შეუწყო ხელი. ახმეტის ფოლკლორს დღემდე სწავლობენ და აკვირდებიან სპეციალისტები. ჩემს მეხსიერებაში, დღესასწაულებზე, ქორწილებში თუ დაკრძალვებზე ძირითადად დოლ-გარმონის და კლარნეტის თანხლებით შესრულებული მეორადი წარმომავლობის ფოლკლორული სიმღერები სრულდებოდა. იმავეს მღეროდნენ მოქეიფეებიც. პრაქტიკულად არ მახსენდება ტრადიციული მრავალხმიანი კახური ან სხვა შესრულება. მაგრამ იყვნენ სოლო შემსრულებლები, რომლებიც ჩონგურის თანხლებით ასრულებდნენ მთიულურ, თუშურ, ან საავტორო სიმღერებს. ერთი პერიოდი განთქმული იყო ახმეტის კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი გუნდი, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ უბადლო სოლისტები, ლოტბარი და შემსრულებელი გიორგი პაპალაშვილი და დოდო უშიკიშვილი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს რადიოს ფონდში ახმეტის თვითმოქმედი სიმღერის გუნდის შესრულებით 1951-1965 წლებში ჩაწერილი 19 ჩანაწერია დაცული. ამავე კოლექტივის წევრი იყო ფირუზა ალიაშვილი, უენო სალამურზე დაკვრის უბადლო ოსტატი, რომლის შესრულებითაც 1951-52 და 1963 წლით დათარიღებული ჩანაწერებია დაცული.

ახმეტის მუზეუმში ფილმისათვის გარკვეულ ფოტომასალას ვეძებდი და წავაწყდი ფირუზა ალიაშვილის ფოტოს. უცბად ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში ბუნდოვანი სურათები, ფირუზა მუდმივად მოძრაობდა და ხშირად ჩანდა ჩვენს უბანშიც, უცნაური აგებულების, მუდმივად თავისი განუყოფელი სალამურით. გამახსენდა მოარული ხმები – „ფირუზამ თავისი სხეული გაყიდაო“. როგორც ჩანს, პათანატომები დაინტერესებულან, მე როგორც ვფიქრობ, მისი ფენომენალური ფილტვებით და არა ჩონჩხის აგებულებით. რადგანაც ფირუზას შესახებ თითქმის აღარაფერი მსმენოდა, ჩემთვის მთავარი ინსპირაცია მისი კვალის ძიება და მასთან დაკავშირებული მითი იყო.

გამოვკითხე ჩემი უბნის უხუცესს ფეფო ბოდაველს, რა ახსოვდა ფირუზაზე, და რაც მთავარია, გავემგზავრე მის მშობლიურ სოფელ ხორბალოში, ბახტრიონს გადაღმა წარმტაცი ველების ბოლოს ტყისპირა პატარა სოფელში. გამოვიკითხე ამბები მისი ნათესავისაგან (ამ ადამიანსვე ჰქონდა ფირუზასადმი მიძღვნილი რამდენიმე სტატია ხელნაკეთ წიგნად აკინძული), მოვინახულე და გადავიღე საფლავი და ის კარ-მიდამო, საიდანაც ფირუზა ალიაშვილი გაუსვენებიათ ბოლო განსასვენებლისაკენ.

მხოლოდ ამის შემდეგ მოვიძიე წყაროები, რომელიც მწირია, მაგრამ ფაქტობრივად ასახულია მისი ცხოვრების ძირითადი მომენტები. მიუხედავად იმისა რომ ძალიან მინიმალურია განსხვავებული სიახლე, ის მაინც არის და, ვფიქრობ, საინტერესოდ ავსებს მის სევდიან ისტორიას.

რობერტ რიკ *(უნგრეთი)* – უნგრელი პიანისტი, საფორტეპიანო პედაგოგი, კამერული მუსიკის შემსრულებელი და კომპოზიტორი, დაიბადა 1983 წელს და ცხოვრობს ბუდაპეშტში.

2010 წელს დაამთავრა მიშკოლცის უნივერსიტეტის ბელა ბარტოკის სახელობის მუსიკალური ინსტიტუტი საბაკალავრო პროგრამით, ხოლო 2012 წელს – სამაგისტრო პროგრამით.

2010 წელს უნგრეთის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე (Student Research Conference of Hungary) ფინალისტი გახდა ნაშრომით თემაზე „საკონცერტო დარბაზების აკუსტიკა“.

2023-2024 წლებში გაიარა IRCTP-ის ქართული ხალხური მუსიკის მოდული, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, უფრო ღრმად შეესწავლა ქართული ტრადიციული მუსიკის შესრულებისა და სწავლების სპეციფიკა.

2022 წელს უნგრეთში გაიმარჯვა კომპოზიტორთა კონკურსში „Sound for a Silent Film“ ფილმისთვის „After Death“ შექმნილი მუსიკით.

იგი არის კლეზმერული მუსიკის ჯგუფ Klezmer R’s-ის დამფუძნებელი, ასევე უნგრეთში ქართული ხალხური მუსიკის ანსამბლის „ვარდის ქუჩა“ (Vardis Kucha) დამფუძნებელი.

ელ.ფოსტა: zongibob@gmail.com

ქართული ხალხური სიმღერის ანალიზის პერსპექტივების გაფართოება

ზეპირი ტრადიციით გავრცელებული ხალხური სიმღერისთვის მრავალი ვარიანტის არსებობა უნივერსალური კულტურული მოვლენაა. სიმღერის ზეპირი გადაცემის ეს პროცესი შესაძლებელს ხდის, რომ სხვადასხვა შემსრულებელმა მას საკუთარი ინდივიდუალური სტილისტური თავისებურებები შესძინოს, ხოლო თაობიდან თაობას გადაცემისას შესაძლოა გარკვეული განსხვავებები და შეუსაბამობებიც წარმოიშვას. შესაბამისად, ერთი და იგივე სიმღერა შესაძლოა მრავალი განსხვავებული ფორმით არსებობდეს, რაც მნიშვნელოვან კითხვას აჩენს: **რა კრიტერიუმებით შეიძლება განვასხვაოთ მცირე ვარიაცია დამოუკიდებელი, განსხვავებული ვერსიისგან?**

წინამდებარე კვლევა იყენებს უკვე დამკვიდრებულ ანალიტიკურ ჩარჩოს იმის შესასწავლად, თუ მისი რომელი ელემენტებია გამოყენებადი ქართული ხალხური მუსიკის ანალიზისას და რომელი მათგანი არ შეესაბამება ქართულ მუსიკალურ მასალას მისი სტრუქტურული განსხვავებების გამო.

XX საუკუნის დასაწყისში ორმა უნგრელმა ეთნომუსიკოლოგმა და კომპოზიტორმა – **ზოლტან კოდაიმ და ბელა ბარტოკმა** – შეიმუშავა ხალხური სიმღერის სტრუქტურული ანალიზის სისტემა, რომელიც დღემდე ფართოდ არის აღიარებული და მის მიმართ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები არ არსებობს. თუმცა ჩნდება კითხვა: **რამდენად არის ეს სისტემა შესაფერისი ქართული ხალხური სიმღერების ანალიზისთვის?**

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება კოდაი-ბარტოკის სისტემის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგია. შემდეგ კი მისი ფუნქციონირება ქართული ხალხური სიმღერების მაგალითებზე იქნება შემოწმებული. კვლევის მიზანია იმ კომპონენტების გამოვლენა, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენება და რომელთა საფუძველზეც მომავალში შესაძლებელი იქნება ქართული ხალხური სიმღერების უფრო სისტემური და თანმიმდევრული კატეგორიზაცია.

ამგვარად, კვლევა ცდილობს გააფართოოს ქართული ხალხუ-

რი სიმღერის ანალიზის არსებული პერსპექტივები და შეაფასოს, რამდენად შეიძლება სხვა მუსიკალური ტრადიციისთვის შექმნილი ანალიტიკური სისტემის გამოყენება ქართული მუსიკალური მასალის შესწავლისას. ამავე დროს, იგი აჩვენებს იმ სტრუქტურულ თავისებურებებსაც, რომლებიც შესაძლოა კოდაი-ბარტოკის მოდელისგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდეს.

ნატალია ზუმბაძე *(საქართველო)* – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, თსკ ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ტმკსც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზეს“ თანადამაარსებელი და წევრი, კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი. ეწევა საველე-შემკრებლობით, კვლევით, პედაგოგიურ, საგანმანათლებლო, საკონცერტო-საშემსრულებლო, სარედაქტორო და საგამომცემლო საქმიანობას.

ელ.ფოსტა: natalia.zumbadze@tsc.edu.ge

იმერეთის 2007 წლის ექსპედიციების მრავალხმიანი სიმღერების შესწავლისათვის

მოხსენებას საფუძვლად უდევს ფონოჩანაწერები საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან ქვემო იმერეთში ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებული ორი ექსპედიციისა. ისინი ასახავს ვანის რაიონში სოფლების – ტობანიერის, სულორისა და დუცხუნის, ხოლო წყალტუბოს რაიონში – სოფელ დღნორისის მამაკაცთა ადგილობრივი ანსამბლების/ჯგუფების რეპერტუარს.

მრავალხმიანი სიმღერები მოხსენებაში შესწავლილია ტრადიციული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელი ძირითადი ასპექტებით (გავრცელების არეალი, ჟანრული კუთვნილება, შემსრულებლები, სოფლური და ქალაქური ფოლკლორი, კუთხური წარმომავლობა, სპეციფიკური ხმები, შესრულების ფორმა, მანერა და იმპროვიზაციულობა). სასიმღერო ტრადიციის გარედან კვლევის პარალელურად წარმოდგენილია თავად შემსრულებლებისეული ხედვა – მათი შეხედულებები ზოგიერთი სიმღერის ხმებსა და შესრულებაზე.

იან დევილდე *(ბელგია)* – მუსიკოლოგი, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა ფლამანდიურ რადიოსა და ტელევიზიაში, სადაც მუსიკალური დოკუმენტური ფილმებისა და კონცერტების პროდიუსერი იყო. 1998 წლიდან დევილდე ფლამანდიური მუსიკის კვლევის ცენტრის კოორდინატორია. ამ საქმიანობას იგი 2006 წლიდან სამეფო კონსერვატორია ანტვერპენის მთავარი ბიბლიოთეკარის თანამდებობას უთავსებს.

ამჟამად იგი მუშაობს კომპოზიტორ პეტერ ბენუას (1834-1901) ბიოგრაფიაზე. გარდა ამისა, დევილდე არის გერმანიის ქალაქ ციეტენში მდებარე Musikproduktion Höflich-ის მიერ გამოცემული მუსიკალური პარტიტურების სერიის „ფლამანდიური მუსიკის კოლექციის“ რედაქტორი.

იგი ასევე არის Antarctica-ს ლეიბლის მიერ გამოცემული კომპაქტდისკების სერიის „ფლამანდიური მუსიკის მემკვიდრეობა“ არტისტებისა და რეპერტუარის (A&R) მენეჯერი. იან დევილდე ბელგიის სამეფო ფლამანდიური მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრია.

ელ.ფოსტა: jan.dewilde@ap.be

სასულიერო მუსიკის ხმები საზღვრებს მიღმა: ფლამანდიური მუსიკალური გავლენები ირლანდიასა და კოლონიურ კონგოში

მოხსენება განიხილავს სასულიერო მუსიკის სფეროში ფლამანდური მუსიკალური ტრადიციის ორი მიმართულებით გავრცელების შემთხვევას. ერთი – ირლანდიისკენ, ხოლო მეორე – ბელგიის ყოფილ კოლონია კონგოსკენ.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ფლამანდრიელ კათოლიკეთა გარკვეულ წრეებში გავრცელდა მოსაზრება, რომ კათოლიკური ფლანდრია და კათოლიკური ირლანდია ნათესავი ერები იყვნენ. მათ აერთიანებდათ საერთო რწმენა და პოლიტიკური და კულტურული ავტონომიისთვის ბრძოლის მსგავსი გამოცდილება. ეს შეხედულება განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც ფლამანდრიელმა ლტოლვილებმა ირლანდიაში იპოვეს თავშესაფარი, ირლანდიელი ჯარისკაცები კი დასავლეთის ფრონტზე, ფლანდრიაში, იბრძოდნენ.

პირველი ფლამანდრიელი საეკლესიო ორგანისტები ირლანდიაში ჯერ კიდევ 1860-იანი წლების დასაწყისში ჩავიდნენ. იმ პერიოდში, როდესაც ცეცილიანურ მოძრაობასთან (Cecilian Movement) დაკავშირებული გერმანელი მუსიკოსები ძლიერ გავლენას ახდენდნენ ირლანდიურ საეკლესიო მუსიკაზე.

1879 წელს მეხელენში **რელიგიური მუსიკის სკოლის (École de musique religieuse, Lemmens Institute)** დაარსების შემდეგ, ფლამანდრიელმა საეკლესიო მუსიკოსებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და განსაკუთრებით მოთხოვნადი გახდნენ ირლანდიაში.

კოლონიური პერიოდის განმავლობაში ათასობით ფლამანდრიელი მისიონერი და სასულიერო პირი გაემგზავრა კონგოში, სადაც მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს განათლების, ჯანდაცვისა და ევანგელიზაციის სფეროებში. 1950-იან და 1960-იან წლებში იქ მოღვაწეობდა რამდენიმე ისეთი პიროვნება, რომლებმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების მიმართ. ზოგიერთი მათგანი ადგილობრივი ხალხების მუსიკალურ პრაქტიკებს აგროვებდა, აღწერდა და აუდიოჩანაწერებს აკეთებდა, სხვები კი ქმნიდნენ ლიტურგიულ ნაწარმოებებს, რომლებიც აფრიკული მუსიკის თავისებურებებით იყო შთაგონებული.

ამ კულტურული და მუსიკალური შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი შედეგი იყო Missa Luba (1958), რომელმაც ლათინური მესის ჩვეულებრივი ტექსტი ცენტრალური აფრიკის ტრადიციულ მუსიკალურ პრაქტიკებთან გააერთიანა.

მუსიკალური და კულტურული გაცვლის ამ ორი განსხვავებული ფორმის შედარების გზით, მოხსენებაში გამოკვლეულია ფლამანდრიელ მუსიკოსებსა და ადგილობრივ საზოგადოებებს შორის ურთიერთქმედება და განხილულია რამდენად შეუწყო ხელი ამ შეხვედრებმა მუსიკის ადაპტაციის, ურთიერთგაცვლისა და ორმხრივი მუსიკალური გავლენის პროცესებს.

მაკა ხარძიანი *(საქართველო)* – ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ დირექტორი და შემოქმედებითი პროექტების ხელმძღვანელი, „ქალთა ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ „ნანინას“ თანადამფუძნებელი და ორგანიზატორი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტმკსც-ის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა სვანური მუსიკალური ფოლკლორი, ტრადიციული მუსიკის სასცენო შემსრულებლობის პრობლემები, ქართული ხალხური მუსიკის ჟანრები და სხვა. არის სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი, სასწავლო და სამეცნიერო კრებულების შემდგენელი, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში; ჩართულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტებში.

ელ.ფოსტა: maka.khardziani@yahoo.com

ქალთა „ხმით ნატირლები” სვანეთში

ნაშრომი ეძღვნება სვანური ტრადიციული კულტურის ერთ-ერთ არქაულ ფენომენს – ქალთა მიერ შესრულებულ გლოვის რიტუალსა და „ხმით ნატირლებს“. სვანურ საზოგადოებაში გლოვა მხოლოდ მწუხარების ემოციური გამოხატვა არ არის; იგი მკაცრად რეგლამენტირებული რიტუალური და სოციალური მოვლენაა, რომელშიც ქალი ცენტრალურ როლს ასრულებს.

კვლევაში გაანალიზებულია ქალთა „ხმით ნატირლები“, როგორც გარდაცვლილის ხსოვნის, საგვარეულო ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნების საშუალება. ქალის მიერ წარმოთქმული გოდება აცოცხლებს გარდაცვლილის ცხოვრებასა და საგვარეულო ისტორიებს, ამავე დროს კი ემოციური და სოციალური წესრიგის აღდგენას უწყობს ხელს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ გლოვა ერთ-ერთი იშვიათი ტრადიციაა, რომელმაც თანამედროვე სვანურ ყოფაში დღემდე შეინარჩუნა თავისი აქტიური სოციალური ფუნქცია. მისი მდგრადობა სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობით არის განპირობებული, რაც ქალთა გლოვით პრაქტიკას სვანური კულტურული იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილად წარმოაჩენს.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის #FR-23-4771, პროექტის სახელწოდება: „ქართული ტრადიციული მუსიკის ჟანრები“]

მაია გელაშვილი *(საქართველო)* – ეთნომუსიკოლოგი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფოლკლორის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა მუსიკის პედაგოგად კერძო სკოლებში, წნ. ნინოს სახელობის სამრევლო სკოლაში და მიუსაფარ ბავშვთა სახლში. 2015-2018 წლებში მუშაობდა გურიის რეგიონის ქალაქ ოზურგეთის სალოტბარო სკოლაში; ხელმძღვანელობდა გოგონათა ანსამბლ „სამშვენისს“. 2018 წლიდან დაინიშნა ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გურიის რეგიონულ წარმომადგენლობაში ფოლკლორის სპეციალისტად; მონაწილეობს ექსპედიციებში გურიის მასშტაბით, ამჟამად მიჰყავს ტელეკომპანია გურია TV-სა და ფოლკლორის ცენტრის ერთობლივი პროექტის რადიო გადაცემა „ფოლკლორის დრო“, მიჰყავდა ტელეგადაცემა „წარსულის ფრაგმენტები გურიიდან“, არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ავტორი. არის ქართველ ქალთა პირველი ფოლკლორული ფესტივალის, „ნანინას“ იდეის ავტორი და ინიციატორი; ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი; „გურიის ფოლკლორული საზოგადოების“ დამფუძნებელი და დირექტორი; ხელმძღვანელობს გურულ გოგონათა ფოლკლორულ ტრიოს „ცანი“. დაწერილი აქვს ორი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მხატვრული საბავშვო წიგნი-ზღაპარი: „მხიარულ-ბრაზიანი ბატონები“ და „შუქიფე“. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. არის 2026 წლის „შემოქმედებითი საქართველოს“ პროექტის გამარჯვებული სამეცნიერო სტატიით.

ელ.ფოსტა: maiaguri123@gmail.com

ტრადიციული მუსიკალური მემკვიდრეობის ტრანსფორმაცია გურიაში: ფილიმონ ქორიძის ეროვნული ინიციატივიდან საბჭოთა კოლმეურნეობების მოდელამდე (1920-1950-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)

ნაშრომი იკვლევს გურიაში ტრადიციული მუსიკალური მემკვიდრეობის ტრანსფორმაციის პროცესს 1920-1950-იან წლებში და ამ პროცესს განიხილავს ფილიმონ ქორიძის მიერ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყებული ეროვნული მუსიკალური ინიციატივიდან საბჭოთა საკოლმეურნეო კულტურის მოდელამდე. კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს გურიის რეგიონულ არქივში დაცული მასალები, მათ შორის საკოლმეურნეო სხდომათა ოქმები, განკარგულებები და ასევე სხვა დოკუმენტები, რომლებიც ასახავს სიმღერისა და ცეკვის გუნდების ორგანიზებასა და საქმიანობას.

კვლევა აჩვენებს, რომ საბჭოთა პერიოდში ხალხური მუსიკის არსებობის ფორმა თანდათანობით გადავიდა ტრადიციული, თემზე დაფუძნებული შემსრულებლობიდან – ინსტიტუციონალიზებულ საკოლმეურნეო – საკონცერტო მოდელზე. საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ხალხური სიმღერისა და ცეკვის გუნდების შექმნა, ხელმძღვანელთა დანიშვნა, ანაზღაურება, რეპეტიციებზე დასწრების კონტროლი, საკონცერტო – ეროვნული ფორმების შექმნა, უკვე ორგანიზებული კულტურული პოლიტიკის ნაწილი გახდა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ტრადიციული მუსიკალური ენა ახალ იდეოლოგიურ და ინსტიტუციურ კონტექსტს მოერგო. ეს პროცესი არ წარმოადგენდა ტრადიციის მარტივ ჩანაცვლებას; იგი უფრო რთულ ტრანსფორმაციას გულისხმობდა, რომლის დროსაც ადგილობრივი მუსიკალური სტილის და შემსრულებლობის გარკვეული ნიშნები შენარჩუნდა, თუმცა მნიშვნელოვნად შეიცვალა მათი სოციალური ფუნქცია, კონტექსტი და თემატური შინაარსი. გუნდების რეპერტუარში ტრადი-

ციულ ნიმუშებთან ერთად საბჭოთა იდეოლოგიის ამსახველი ახალი სიმღერები გაჩნდა.

ამრიგად, გურიის მაგალითი წარმოაჩენს საბჭოთა მმართველობის პირობებში კულტურული შენარჩუნების, ინსტიტუციონალიზაციისა და იდეოლოგიური ტრანსფორმაციის რთულ ურთიერთმიმართებას. კვლევა აჩვენებს, რომ ტრადიციული მუსიკა ერთდროულად შეიძლება ყოფილიყო კულტურული უწყვეტობის მატარებელი და ამავე დროს, სახელმწიფო კონტროლირებადი კულტურული წარმოების ახალი სისტემის ნაწილი.

აბდულაჰ აკათ *(თურქეთი)* – პროფესორი, აკადემიური დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი და სტამბოლის უნივერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მან 2010 წელს სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტში მუსიკათმცოდნეობისა და მუსიკის თეორიის მიმართულებით დოქტორის ხარისხი მიიღო. 2011 წელს კარადენიზის ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსა კარადენიზის მუსიკის არქივი (KARMA), რის შემდეგაც, TÜBİTAK-ის მხარდაჭერით, 2013-2014 წლებში ბერლინის ფონოგრამის არქივში (Berliner Phonogramm-Archiv) პოსტდოქტორანტურ კვლევას ახორციელებდა. 2021 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ICTMD-ის „მუსიკა და ცეკვა თურქულ სამყაროში“ სასწავლო ჯგუფს (Study Group on Music and Dance in the Turkic World), ხოლო 2017 წლიდან არის ჟურნალ Musicologist-ის მთავარი რედაქტორი. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს მუსიკის არქივირებასა და თურქეთის, შავი ზღვის რეგიონის, ბალკანეთის, ყირიმისა და კავკასიის მუსიკალურ კულტურებს.

ელ.ფოსტა: abdullahakat@istanbul.edu.tr

აუდიოვიზუალური კვლევითი პრაქტიკა, სამეცნიერო კომუნიკაცია და ახალი ინფრასტრუქტურები ეთნომუსიკოლოგიაში

აუდიოვიზუალური მიდგომები ეთნომუსიკოლოგიური კვლევის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ხმის ჩანაწერები, მოძრავი გამოსახულებები, შესრულებების ვიდეოჩანაწერები და ვიზუალური ეთნოგრაფია დიდი ხანია გამოიყენება მუსიკალური პრაქტიკების დოკუმენტირებისთვის, შესრულებების აღსაბეჭდად და მუსიკალური ცხოვრების იმ ასპექტების გადმოსაცემად, რომელთა გამოხატვაც მხოლოდ ტექსტის საშუალებით რთულია. თუმცა დღეს აუდიოვიზუალური მასალები სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებს ეთნომუსიკოლოგების არგუმენტების წარმოდგენასა და გავრცელებაში.

ეს ცვლილება ასევე აჩენს კითხვებს სამეცნიერო პუბლიკაციის შესახებ. რა ხდება მაშინ, როდესაც ხმა, გამოსახულება, შესრულება, მონტაჟი, რიტმი ან დუმილი თავად ნაშრომის არსებითი ნაწილია? როგორ შეიძლება ასეთი კვლევების გამოქვეყნება აკადემიურ გარემოში, რომელიც ჯერ კიდევ ძირითადად წერილობით ტექსტებზეა დაფუძნებული? ეს კითხვები მიუთითებს ისეთი საგამომცემლო პლატფორმების საჭიროებაზე, რომლებსაც შეუძლიათ აუდიოვიზუალური ფორმების სამეცნიერო კომუნიკაციის სრულფასოვან ნაწილად წარმოჩენა და არა მხოლოდ დამატებით მასალად განხილვა.

ნაშრომი ამ საკითხებს განიხილავს **აუდიოვიზუალური პუბლიკაციის (Audiovisual Publication)** კონცეფციის საფუძველზე. სამეცნიერო პუბლიკაციისა, რომელშიც აუდიოვიზუალური ფორმა კვლევისა და სამეცნიერო არგუმენტის წარმოდგენისა და კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია. ნაშრომი იკვლევს, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს მიდგომა ეთნომუსიკოლოგიური გამოცემებისთვის და როგორ შეიძლება შეიცვალოს აუდიოვიზუალური კვლევების გაზიარებისა და სამეცნიერო აუდიტორიის მიერ მათი აღქმის გზები.

ნაშრომი დასასრულს წარმოგიდგენთ PAVEM-ს (Portal for Audio Visual Ethnomusicology) და PAVEM Journal-ს, როგორც განვითარებად ინიციატივებს, რომლებიც აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობენ. მათი მიზანია აუდიოვიზუალური კვლევების განვითარების, კომუნიკაციისა და გამოქვეყნების ახალი შესაძლებლობების შესწავლა და ამ გზით უფრო ფართო დისკუსიაში წვლილის შეტანა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეთნომუსიკოლოგიური კვლევა შეიქმნას, გაზიარდეს და აღქმულ იქნეს სულ უფრო მეტად აუდიოვიზუალურ სამეცნიერო გარემოში.

ეკატერინე ონიანი *(საქართველო)* – მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი. მიჰყავს მუსიკის თეორიისა და სამუსიკო პალეოგრაფიის კურსები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი, საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის წევრი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით (მუსიკის თეორია 1996). დისერტაცია დაიცვა პროფ. მანანა ანდრიაძის ხელმძღვანელობით (2004, დისერტაციის თემა: ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (X-XI და XVIII საუკუნეების ხელნაწერთა მაგალითზე). მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია სამუსიკო პალეოგრაფიასთან, იკვლევს ძველ ქართულ საეკლესიო მუსიკასა და ნევმურ დამწერლობას, ქართული გამშვენებული გალობის საკითხებს. ასევე იკვლევს მუსიკის თეორიის საკითხებს. ავტორია რიგი სამეცნიერო შრომებისა. გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მონაწილეობას იღებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში. 2014 წლიდან არის შუასაუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის მუსიკის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე ქართული მუსიკის სექციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მონაწილე თ. ჩხეიძე, ე. ჭაბაშვილი, ხ. მანაგაძესთან ერთად.

ელ.ფოსტა: ekaterine.oniani@gmail.com

ანდერძ-მინაწერები ამბროსი ნეკრესელის ლიტურგიკულ ხელნაწერებში

18-19-საუკუნის გამოჩენილ მოღვაწე, „პიიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი“ ამბროსი ნეკრესელი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული სამუსიკო პალეოგრაფიის ისტორიაში. მის ლიტურგიკულ კრებულში (ხელნაწერი Q-845) გამოყენებული ნევმური სისტემა გარდამავალ რგოლად გვევლინება ძველსა (10-11 ს) და ახალ (18-19 ს) ქართულ სამუსიკო დამწერლობის სისტემებს შორის

აღნიშნული კრებული, დღემდე, ძირითადად, სამუსიკო პალეოგრაფიის თვალსაზრისითაა გამოკვლეული, თუმცა, ნევმური ნოტაციის გარდა, იგი სხვა მნიშვნელოვანი მინაწერებითაც იქცევს ყურადღებას. ესაა ტიპიკონური შენიშვნები, ბიოგრაფიული ცნობა, თუ მითითება გალობის შესრულების ფორმებზე.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ ტიპის მონაცემებზე, განხილულია სხვადასხვა ანდერძ-მინაწერი, ასევე, ამ თვალსაზრისით, გამოკვლეულია ამბროსი ნეკრესელის სხვა საგალობელთა კრებულებიც.

ანდრეა დურლო *(იტალია)* – ბავშვობიდან ეუფლებოდა ფორტეპიანოსა და ორგანზე დაკვრას. პარალელურად, მიიღო საბუნებისმეტყველო განათლება, რამაც შესაძლებლობა მისცა, მიეღო მყარი სხეულების ფიზიკის მაგისტრის ხარისხი, პლასტმასების ტექნოლოგიის ბაკალავრის ხარისხი და ნანოტექნოლოგიის ისტორიის დოქტორის ხარისხი. მან მუსიკალური განათლება განაგრძო ორგანის დაკვრის, კომპოზიციისა და ორგანზე იმპროვიზაციის მიმართულებით. სწავლობდა როვიგოს მუსიკის კონსერვატორიაში მაესტრო ჯ. ფელტრინის ხელმძღვანელობით, ხოლო პადუის მუსიკის კონსერვატორიაში – მაესტრო პ. ტურეტას ხელმძღვანელობით. ასევე, მონაწილეობდა ორგანის მასტერკლასებში, რომლებსაც ატარებდნენ რუდოლფ ინიგი, ანდჟეი ჩოროსინსკი და ლაიონელ როგი. ორი ათწლეულის განმავლობაში იგი სხვადასხვა მრევლში ლიტურგიული მსახურებისა და გუნდების აკომპანიატორად მუშაობდა თავის რეგიონში. ამჟამად იგი პადუის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელია.

ელ.ფოსტა: andreadurlo71@gmail.com

საეკლესიო მუსიკის მოკლე მიმოხილვა

ნაშრომი იკვლევს ევროპული მუსიკის ისტორიის საკვანძო ეპოქებში მომხდარ მნიშვნელოვან სტრუქტურულ და სტილისტურ გარდაქმნებს და მუსიკის განვითარების გზას შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ტაძრის (Notre Dame) სკოლის პერიოდიდან ბაროკოს, კლასიციზმისა და რომანტიზმის ეპოქების გავლით XX საუკუნის მიწურულის პოსტმინიმალიზმამდე. კომპოზიციური ტექნიკისა და შესრულების პრაქტიკის ევოლუციის ანალიზის საფუძველზე ნაშრომი განიხილავს, თუ როგორ იცვლებოდა მუსიკალური ფორმა როგორც საკრავების კონსტრუქციის ტექნოლოგიური ინოვაციების, ისე კულტურული პარადიგმების ცვლილების შესაბამისად.

მსჯელობა იწყება მაღალი შუა საუკუნეების პოლიფონიის წარმოშობით, როდესაც ლეონინუსისა და პეროტინუსის მიერ შემუშავებულმა რიტმულმა ინოვაციებმა და ორგანუმის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა დასავლური კონტრაპუნქტის ჩამოყალიბებას. შემდეგ განხილულია მაღალი ბაროკოს ეპოქა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედებას. ბახის ფუგის არქიტექტურისა და კონტრაპუნქტული ოსტატობის განვითარება დაემთხვა კლავიშებიანი საკრავების კონსტრუქციისა და ტემპერაციის სისტემების გაუმჯობესებას, რამაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საეკლესიო ორგანის რეპერტუარის განვითარებაზე.

ნაშრომის ყურადღების ცენტრშია ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის შემოქმედება, რომელმაც ფორმის წონასწორობა, ჰარმონიული სიცხადე და საკრავის შესაძლებლობებთან შესაბამისი მუსიკალური ენა კიდევ უფრო დახვეწა ფორტეპიანოს განვითარების ტრადიციის ფარგლებში. ნარატივი გრძელდება XIX საუკუნეში იოჰანეს ბრამსის შემოქმედებით, რომლის მიერ ტრადიციული მუსიკალური სტრუქტურების გაერთიანებამ თემატური განვითარების სიმჭიდროვესთან გამოხატა რომანტიზმისთვის დამახასიათებელი დაძაბულობა ისტორიულ უწყვეტობასა და ექსპრესიულ გაფართოებას შორის.

დაბოლოს, ანალიზი ეხება XX საუკუნის მიწურულს და არვო პერტის ტინტინაბულის ტექნიკას, რომელიც გვიჩვენებს თანამედროვე მუსიკაში საკრალური სულიერებისა და მოდალური სიწმინდისკენ რედუქციონისტულ დაბრუნებას.

შედარებით-ისტორიული მიდგომის გამოყენებით ნაშრომი წარმოაჩენს, თუ როგორ ურთიერთქმედებდა ორგანის პროგრესი და მექანიკური ინოვაციები — მილის ორგნიდან თანამედროვე ფორტეპიანომდე — ცალკეული კომპოზიტორების შემოქმედებით გენიასთან. საბოლოოდ, კვლევა აჩვენებს, რომ შესრულების კონტექსტის, ტექნოლოგიური განვითარების და ესთეტიკური ფილოსოფიის ურთიერთქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლეონინუსის, პეროტინუსის, ბახის, მოცარტის, ბრამსისა და პერტის მუსიკალური მემკვიდრეობის ჩამოყალიბებაში.

თეონა ბენაშვილი *(საქართველო)* — საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის მაგისტრი. მისი საქმიანობა დაკავშირებულია ქართულ ხალხურ და საეკლესიო მუსიკასთან. დაამთავრა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი (ბაკალავრიატი — 2021, მაგისტრატურა — 2023).

2010 წლიდან ხელმძღვანელობს მგალობელ გოგონათა გუნდს და აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო და საკონცერტო საქმიანობაში. ჩართულია სხვადასხვა პროფესიულ პროექტში. 2023 წლიდან მუშაობს გალობის უნივერსიტეტისა და ფონდ „ქართული გალობის“ კომუნიკაციებისა და სოციალური მედიის მენეჯერად. ასევე აქვს სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ელ.ფოსტა: benashviliteona@gmail.com

აჭარული ტრადიციული მუსიკის ეთნომუსიკოლოგიური შესწავლის ისტორია

აჭარა თავისი რთული ისტორიული გამოცდილებით ტრადიციული მუსიკის შესწავლის განსაკუთრებულად საინტერესო არეალს წარმოადგენს. ისლამის გავრცელებამ და მის შედეგად ჩამოყალიბებულმა ყოფითმა და კულტურულმა გარემომ აჭარის მოსახლეობის ტრადიციები თავისებურად განსაზღვრა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა კითხვა, როგორ და რა ფორმით განაგრძო არსებობა მუსიკალურმა ფოლკლორმა და რა სახით შემორჩა ეროვნული მუსიკალური ტრადიციის ნიშნები აჭარელთა მუსიკალურ შემოქმედებაში. ამ კითხვებზე პასუხის ძიება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება აჭარული ტრადიციული მუსიკის შესახებ პირველი მნიშვნელოვანი ცნობები.

მოხსენება მიმოიხილავს აჭარული მუსიკალური მემკვიდრეობის ეთნომუსიკოლოგიური შესწავლის გზას – პირველ ხმოვან და სანოტო ჩანაწერებს, საექსპედიციო მასალებს და მისი მეცნიერული ანალიზის ძირითად მიმართულებებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მკვლევრებს, რომელთა შრომამ აჭარის მუსიკალური სამყარო ქართული ტრადიციული მუსიკალური მეხსიერების მნიშვნელოვან ნაწილად აქცია.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით. [GSDP 26-364 „ეთნომუსიკოლოგიის ისტორია საქართველოში“]

ოთარ კაპანაძე *(საქართველო)* – ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (დისერტაციის თემა: „ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები“. თბილისი, 2014). „საქართველოს უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა). თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. პროფესორი; იმავე სასწავლებლის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (2022-2025). თბილისის ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი. „ფოლკ-რადიოს“ მუსიკალური წამყვანი და რამდენიმე ეთნომუსიკოლოგიური გადაცემის ავტორი (2008-2012 წწ.) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი (2012-2014 წწ.). 20-მდე ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის მონაწილე. კვლევის ძირითადი სფეროები: ქართული საფერხულო სიმღერები; აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციული მუსიკა; ქართული საბჭოთა ხალხური სიმღერები; ხალხური მუსიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.

ელ.ფოსტა: science@tsc.edu.ge

სვანური სამუსიკო ფოლკლორის მივიწყებული ჟანრის შესახებ

მოხსენება ეხება სვანეთში ბავშვების მიერ ჩიტის დაჭერის დროს სათქმელი შელოცვის მუსიკალურ ასპექტს. კაკანათში (მახეში) ჩიტის შესატყუებელი საბავშვო მაგიური ინტონირება, „მითვლის“ სახელით, ცნობილია მხოლოდ მთის რაჭაში. სვანური ანალოგიური ნიმუშების შესახებ არსებული მასალა, ჩემთვის ცნობილ სანოტო მაგალითს თუ არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, არ არსებობს; „მითვლის“ სვანური ანალოგები არც სახელმძღვანელოებშია ნახსენები. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება უახლესი საექსპედიციო მასალა, რომელიც ადასტურებს ჟანრის სვანეთში არსებობას.

მარიამ სეთურიძე *(საქართველო)* – არის გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, ასევე ეუფლება კლასიკურ ვოკალს. არის საეკლესიო გუნდების მგალობელი და რეგენტი, ასწავლის ქართულ გალობას. ბავშვობიდან ცეკვავს და მღერის, ასევე უკრავს კლასიკურ და ხალხურ საკრავებზე. აქვს აქტიური სტუდენტური ცხოვრება, ხშირად ერთვება კონცერტებში, კონფერენციებში, ექსპედიციებსა და ფესტივალებში. დაინტერესებულია ქართული ტრადიციული მუსიკის კვლევით და მასთან დაკავშირებული გენდერული საკითხებით.

ელ.ფოსტა: mariam-seturidze@galoba.edu.ge

მარო თარხნიშვილის ფენომენი ქართულ ფოლკლორში

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს ქალთა უფლებებისა და მათი ისტორიული როლის წინ წამოწევა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ფიგურების კვლევა, როგორიც მარო თარხნიშვილია.

მოხსენება ეძღვნება პირველი ქართველი ქალი ლოტბარის ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობას. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს, თუ როგორ შეცვალა მარო თარხნიშვილმა ქალის სტატუსი ტრადიციულ ფოლკლორში და რა გავლენა იქონია ქალთა სალოტბარო ტრადიციის დაფუძნებაზე. აღსანიშნავია, რომ მარო თარხნიშვილი ვირტუოზულად ასრულებდა სიმღერებს კაცთა რეპერტუარიდან, რამაც გამოძახილი პოვა შემდგომ თაობებში. მისი მოღვაწეობა იყო წინაპირობა იმისა, რომ დღეს საქართველოში არიან ქალი ლოტბარები და ქალ შემსრულებელთა ახალგაზრდა თაობა სურვილისამებრ თავისუფლად ასრულებს ქართლ-კახურ სიმღერებს მამაკაცთა რეპერტუარიდან. აღნიშნულ კვლევაში მიმოვიხილავ მარო თარხნიშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს, მისი მოწაფეებისა და თანამედროვე ლოტბარ ქალთა საქმიანობას.

საბოლოო ჯამში, კვლევა აჩვენებს, რომ მარო თარხნიშვილის მემკვიდრეობა წარმოადგენს არა მხოლოდ მუსიკალურ, არამედ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-კულტურულ პრეცედენტს ქართულ ფოლკლორულ სივრცეში.

თამარ ჩხეიძე *(საქართველო)* – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საეკლესიო მუსიკის მკვლევარი, მუსიკის თეორეტიკოსი. გიორგი მთაწმინდელის სახ. გალობის უნივერსიტეტის პრორექტორი, თბილისის სახ. კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი;

იკვლევს ქართული გალობის ლიტურგიკულ, ისტორიულ-თეორიულ ასპექტებს, სამუსიკო დამწერლობის სისტემებს. უძღვება მუსიკალურ-თეორიულ და მუსიკალურ-ლიტურგიკულ დისციპლინებს კონსერვატორიასა და გალობის უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს კვლევებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. იყო მიწვეული პროფესორი ლუბეკის Musikhochschule-ში (2018 წ), ლისტის მუსიკის აკადემიაში (2019) ლექციათა ციკლით ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ. მისი კვლევები მხარდაჭერილი იყო DAAD (2014) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (2021, 2023, 2026). მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „ქართული გალობის ჭრელები“ (2022); „ქართული საეკლესიო მუსიკის თეორიული საფუძვლები“ (2018); „ვნების კვირის საგალობლები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში“ (თანაავტორები მონ. ნინო სამხარაძე და მ. ნადარეიშვილი) და თანაავტორი შრომებისა: ქრესტომათია ჰარმონიაში (თანაავტორები ი. ჟღენტი, მ. ნადარეიშვილი, 2023); სამგალობლო ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (თანაავტორი დ. შუღლიაშვილი); არის მრავალი სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე, კრებულის რედაქტორი და შემდგენელი.

ელ.ფოსტა: tchkheidze69@gmail.com

თეოლოგიური საზრისიდან მუსიკალურ მოდელამდე: სტიქარონი „რომელი ედემს შინა ოდესმე“ და მისი ჰანგი ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში

კვლევის მიზანია სტიქარონის „რომელი ედემს შინა ოდესმე“ ტექსტისა და ჰანგის ურთიერთმიმართების შესწავლა ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტიქარონის თეოლოგიურ საზრისს და მის ლიტურგიკულ კონტექსტს, აგრეთვე იმ ფუნქციას, რომელსაც აღნიშნული ჰანგი სხვადასხვა საგალობელში ასრულებს.

მოხსენებაში წარმოდგენილია სტიქარონის სიტყვიერი ტექსტის ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოკვლეულია მისი თეოლოგიური შინაარსი. მიღებული შედეგები დაკავშირებულია ამ სტიქარონის დედან-ჰანგად გამოყენების პრაქტიკასთან. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია იმ შინაარსობრივი, ლიტურგიკული და მუსიკალური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს სტიქარონის „რომელი ედემს შინა ოდესმე“ ჰანგის სხვადასხვა საგალობლის მუსიკალურ მოდელად არჩევას.

კვლევა ეფუძნება ქართული ლიტურგიკული კრებულებისა და ისტორიული წყაროების ტექსტოლოგიურ, ლიტურგიკულ და მუსიკალურ-თეორიულ ანალიზს. შესწავლილია X-XI საუკუნეების, აგრეთვე XVII-XVIII საუკუნეების წყაროები, მათ შორის იადგარები, სინური და ათონური ხელნაწერების მარხვანები, ერეკლე II-ის პერიოდის ზატიკი და მარხვანი და გარეჯული ხელნაწერები. წყაროთა შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს აღნიშნული დედან-ჰანგის გამოყენების ტრადიცია და მისი გავრცელების დინამიკა.

მოხსენებაში ასევე განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული ჰანგის ფართო გავრცელებასა და მნიშვნელოვან მუსიკალურ მოდელად დამკვიდრებასთან.

კვლევა განხორციელდა 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის (FR-22-7504) „ვნების კვირის საგალობლები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში“ ფარგლებში

კონსტანტინ რაილეანუ *(რუმინეთი)* — რუმინელი მუსიკოლოგი, დირიჟორი, მკვლევარი და კომპოზიტორი, რომელიც სპეციალიზებულია ადრეულ, ბიზანტიურ, საეკლესიო, ოსმალურ და არაბულ მუსიკაში. მას აქვს მუსიკის დოქტორის ხარისხი ბუქარესტის მუსიკის ეროვნულ უნივერსიტეტში და შემდგომი სადოქტორო სწავლა გაიარა თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში ბიზანტიური მუსიკოლოგიის მიმართულებით.

იგი არის ანტონ პანის ბიზანტიური მუსიკის ვოკალური ჯგუფის დამფუძნებელი და კოორდინატორი, ასევე ანტონ პანის ადრეული მუსიკის კამერული ანსამბლის დამფუძნებელი, კოორდინატორი, დირიჟორი და გენერალური მენეჯერი. ამასთანავე, იგი არის ანტონ პანის კულტურისა და ტრადიციის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

მისი კვლევითი საქმიანობა ძირითადად მოიცავს ადრეულ და ბიზანტიურ მუსიკას, რუმინულ და ოსმალურ მუსიკალურ ტრადიციებს, ისტორიულ მუსიკალურ ხელნაწერებს, აგრეთვე რუმინეთის, მცირე აზიისა და ბალკანეთის მუსიკალურ ტრადიციებსა და მათ შორის არსებულ კავშირებს.

რაილეანუს ჩაუტარებია ფართომასშტაბიანი კვლევა, ისტორიული მუსიკალური ნიმუშების ტრანსკრიფცია და საორკესტრო/საანსამბლო ადაპტაცია. მის ნამუშევრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ანტონ პანის, გეორგე უჩენესკუს, დიმიტრი კანტემირისა და იოან კაიანუს შემოქმედების კვლევასა და დამუშავებას.

ანტონ პანის ფსალმოდიური ხელოვნების თეორიული ნიგნი თანამედროვეობის ჭრილში

ანტონ პანმა საეკლესიო მუსიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს ჩაუყარა საფუძველი იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოება და კულტურა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ამ პროცესს თან ახლდა ნაციონალიზმის ძლიერი აღმავლობა, რომელმაც საფუძველი შეუქმნა თანამედროვე რუმინული სახელმწიფოსა და კულტურის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, პოლიტიკური გარდაქმნები მნიშვნელოვან განვითარებებს განაპირობებდა და დიპლომატიურ გზას უხსნიდა რუმინეთის სამთავროების დამოუკიდებლობას მეზობელი სუვერენული სახელმწიფოებისგან. ეს კულტურულ-ლიტერატურული იდეოლოგია მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ და სოციალურ იდეებთან, რადგან კულტურულ სფეროში მოღვაწე მნიშვნელოვანი ფიგურები ხშირად პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლებიც იყვნენ.

ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მუსიკოლოგებისთვის — ვინაიდან იგი აუცილებელია XIX საუკუნის პირველი ნახევრის მუსიკალურ-კულტურული კონტექსტის გასაგებად — ასევე მათთვის, ვინც საკუთარი საშემსრულებლო მეთოდების ადგილობრივ ტრადიციასთან შესაბამისობაში მოყვანას ცდილობს და ამისთვის მნიშვნელოვან თეორიულ მემკვიდრეობას ეყრდნობა. ამჟამად რუმინულ ენაზე არსებული ბიზანტიური გალობის თეორიული ნაშრომები არ მოიცავს იმ კონკრეტულ და დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ანტონ პანის ტრაქტატშია წარმოდგენილი.

ამასთანავე, სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება XXI საუკუნისთვის შექმნილი ისეთი ნაშრომის საჭიროება, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებისთვის აუცილებელ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს და ახალი მგალობლების მომზადებას შეუწყობს ხელს.

სანამ მსგავსი ნაშრომი შეიქმნება, ანტონ პანის ტრაქტატი წარმოადგენს დროებით გამოსავალს, რომელიც ნაწილობრივ ავსებს არსებულ თეორიულ ხარვეზებს.

მონაზონი ნინო სამხარაძე *(საქართველო)* — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სამუსიკისმცოდნეო კვლევები“). 2002 წლიდან დღემდე ცხოვრობს მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში და გალობს მგალობელთა გუნდში. აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო კონფერენციებზე. მიღებული აქვს სტიპენდიები: პროფესორ მანანა ანდრიაძის (2014, 2015, 2016,), ედიშერ და გიორგი (გიგი) გარაყანიძეების (2016, 2022, 2023), დიმიტრი არაყიშვილის (2016-2017), ანზორ ერქომაიშვილის (2026). არის მე-6 საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსის გამარჯვებული ნომინაციაში „საუკეთესო პრეზენტაცია“ (2015). გადაეცა არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემია ქართული გალობის მკვლევართა და შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე ნომინაციაში „საუკეთესო ახალგაზრდული სამეცნიერო პუბლიკაცია“ (2018). 2017 წლიდან არის რედ-კოლეგიის წევრი პერიოდული ჟურნალის „სამთავროს მაყვლოვანი“ (სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა), სადაც გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა ხასიათის 20-ზე მეტი სტატია. 2014-2018 წლებში კონსერვატორიის მგალობელთა სტუდენტური გუნდის წევრია. საბაკალავრო ნაშრომში შეისწავლა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის არქივში დაცული ფილიმონ კარბელაშვილი ხელნაწერი სანოტო კრებული და მის საფუძველზე მონასტრის ძველი სამგალობლო ტრადიცია; სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების პირველი ნაწილის მუსიკალური ციკლის, „შეხვეტილიანის“ — ქართული პასიონის კვლევას. დისერტაციაში კი შეისწავლის ვნების პარასკევის ცისკრის სრულ მსახურებას, შემადგენელი საგალობლების (96 ერთეული) მუსიკალურ-პოეტურ თავისებურებებს ზოგადქრისტიანული მართლმადიდებლური ტრადიციის კონტექსტში.

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

წმიდა კოზმა იერუსალიმელის ვნების კვირის გალობანი

მოხსენება ეძღვნება წმიდა კოზმა იერუსალიმელის ვნების კვირის გალობათა ქართული თარგმანების ისტორიას და სხვადასხვა პერიოდის ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში მათი რედაქციული ჩამოყალიბების საკითხს. კვლევის საფუძველს წარმოადგენს X-XII საუკუნეების ქართული იადგარებისა და მარხვნების, აგრეთვე მოგვიანო ლიტურგიკული კრებულების შედარებითი შესწავლა.

მოხსენებაში განხილულია ვნების კვირის კოზმას გალობათა ძველი (დიდი იადგარები) და ახალი რედაქციების (XII ს.-ის მარხვანი Sin.70) ურთიერთმიმართება, ძლისპირ-დასდებლების ტექსტოლოგიური ცვლილებები, ახალი თარგმანების ვერბალური, სინტაქსური და სტრუქტურული თავისებურებები და მათი მიმართება მუსიკალურ ჰანგებთან. ტექსტოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი რედაქციის ჩამოყალიბებისას დასდებლები ხელახლა ითარგმნა, ხოლო მუსიკალური ანალიზის საფუძველზე ძლისპირებთან მიმართებით სამი განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა: ა) ერთი და იმავე ძლისპირის განსხვავებული თარგმანის არსებობა ჰანგის შენარჩუნებით; ბ) განსხვავებული ტექსტის, მაგრამ საერთო ჰანგის მქონე დედან-ჰანგი და პროსომია ძლისპირები; გ) უცვლელი ტექსტისა და ჰანგის ძლისპირები.

კვლევა ააშკარავებს XII საუკუნიდან კოზმას გალობათა ახალი რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიულ-ლიტურგიკულ კონტექსტს და მის კავშირს საქართველოში სირია-პალესტინური ლიტურგიკული ტრადიციის გავრცელების პროცესთან.

ეკატერინე ყაზარაშვილი *(საქართველო)* – საეკლესიო მუსიკოლოგიის დოქტორანტი კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2012 წლიდან დღემდე ვარ საეკლესიო მუსიკის მიმართულების სპეციალისტი. 2017 წლიდან გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ვხელმძღვანელობ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. 2018 წლიდან კი ამავე უნივერსიტეტში ვასწავლი საეკლესიო გალობას. სამეცნიერო ინტერესები ძირითადად დაკავშირებულია ქრისტეშობის დღესასწაულთან. არაერთი წელია დაინტერესებული ვარ XIX-XX საუკუნეში ქალთა განათლების და განათლების კერების შესწავლით, ეგზარხოსობის დროს მოღვაწე წმინდა ძმების კარბელაშვილებისა და წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრეს (ოქროპირიძე) პირადი არქივების შესწავლით და მათი შემოქმედების კვლევით. მონაწილეობას ვიღებ არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში/სიმპოზიუმში. ქართული ტრადიციული მუსიკის სფეროში არაერთი პროექტის, კონცერტის/ფესტივალის ორგანიზატორი და მონაწილე ვარ. 2004 წლიდან ვარ მგალობელი და რეგენტი.

ელ.ფოსტა: eyazarashvili@yahoo.com

კომპოზიციური თავისებურებები ქართლ-კახური სკოლის ქრისტეშობის კანონებში

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში ქრისტეშობის საგალობლები წმინდა ძმები კარბელაშვილების მიერ არის გადმოცემული და ჩაწერილი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია ვასილ და პოლიევკტოს კარბელაშვილების პირად არქივებში, ხოლო 1899 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „საგალობელნი შობის დღესასწაულისანი“ წარმოდგენილია ქრისტეშობის მსახურების, ძირითადად კი საცისკრო კანონის, საგალობლები. კვლევისთვის მნიშვნელოვანია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გრიგოლ ჩხიკვაძის არქივში დაცული ხელნაწერი №2126. ეს ხელნაწერი კი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ როგორც ვასილის, ისე პოლიევქტოსის პირად არქივში დაცულ სანოტო ხელნაწერებში გვხვდება მხოლოდ კოზმა იერუსალიმელის ტექსტზე არსებული ქრისტეშობის კანონი, გრიგოლ ჩხიკვაძის არქივში კი ინახება პოლიევქტოს კარბელაშვილისგან გადმოცემული ქრისტეშობის კანონის მეორე – იოანე დამასკელის იამბიკურ ტექსტზე გაწყობილი კანონის ნოტირებული ვერსია.

მოხსენებაში წარმოდგენილია ორივე კანონის მუსიკალურ-ლიტურგიკული და სახისმეტყველებითი ანალიზი. კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს განსხვავებული სალექსო საზომის მქონე კანონთა ძლისპირების საერთო და განმასხვავებელი კომპოზიციური ნიშნები, ასევე შესწავლილ იქნეს სიტყვისა და ჰანგის ურთიერთმიმართება. იოანე დამასკელის შობის კანონის მუსიკალურ ვერსიაში არაერთი საკითხი ბადებს კითხვას. მათ შორის არის იამბიკური კანონისთვის არატიპური მუხლობრივი დაყოფა და იდენტური, მარტივი აღნაგობის მუხლების გამეორება როგორც თითოეული ძლისპირის, ისე სხვადასხვა ოდის ძლისპირებს შორის, რაც ზოგადად კანონის კომპოზიციისთვის ტიპური არ არის. ამ საკითხთან მიმართებაში ვიკვლევთ გარემოებებს, თუ რამ განაპირობა აღნიშნული ჰიმნოგრაფიული კანონის უჩვეულო აღნაგობა და მუსიკალური შინაარსი.

გოჩა ბიძინაშვილი *(საქართველო)* – მუსიკოლოგი, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ასისტენტ-პროფესორი. 2013 წელს დაამთავრა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებელი საეკლესიო გალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. 2021 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობა“. ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. მისი სამეცნიერო ინტერესები ძირითადად დაკავშირებულია ქართული საეკლესიო გალობის ისტორიასთან, თეორიასა და სტილურ მრავალფეროვნებასთან. აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, იგი აქტიურად არის ჩართული ტრადიციული მუსიკის პრაქტიკულ პოპულარიზაციასა და ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. არის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თელავის სალოტბარო სკოლის რეგენტი და 2019 წელს დაარსებული თელავის წმინდა ძმები კარბელაშვილების სახელობის ქართული ტრადიციული მუსიკის სკოლის დამფუძნებელი. ხელმძღვანელობს ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „პატარა კახსა“ და ეთნოგრაფიულ ანსამბლ „ჩაკრულოს“.

ელ.ფოსტა: g.bidzinashvili90@gmail.com

თამარ ღურწკაია *(საქართველო)* – მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. ამჟამად არის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი და ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული კავკასიის კვლევითი ცენტრის ასისტენტი. 2012 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. 2018 წელს დაასრულა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა. აქვს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.მისი სამეცნიერო და კვლევითი ინტერესები მოიცავს ახალ და უახლეს ისტორიას, არქივთმცოდნეობასა და წყაროთმცოდნეობას. თანაავტორობით შემუშავებული აქვს სასწავლო რიდერები. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წარდგენილი აქვს მოხსენებები XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და კულტურული ტურიზმის საკითხებზე. აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, 2021 წლიდან არის ანსამბლ „მზეშინას“ წევრი.

ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე ჩაწერის სათავეებთან (ახლად მოძიებული საარქივო მასალების მიხედვით)

წინამდებარე მოხსენების მიზანია სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინოს ახლად მიკვლეული საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადატანის ისტორიის შესახებ. აღნიშნული მასალებით ზუსტდება პირველი სამგალობლო კრებულის შედგენის ქრონოლოგია, რომელიც ათწლეულით უსწრებს დღემდე ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილ პირველ კრებულს.

ჩვენ მიერ მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება XIX საუკუნის 30-40-იანი წლების დოკუმენტები, რომლებიც ნათელს ჰფენს დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის უცნობ ღვაწლს. მოხსენებაში განვიხილავთ სანოტო სისტემაზე სამ ხმაში შესრულებული პირველი სამგალობლო კრებულის შექმნის ისტორიას.

ახლად გამოვლენილი დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა არა მხოლოდ ავსებს და აზუსტებს პირველი სანოტო ხელნაწერის შექმნის ქრონოლოგიას, არამედ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1830-1840-იანი წლების ქართული საეკლესიო მუსიკის გარშემო არსებულ რთულ ვითარებაზე.

November 6, Friday

Conference Hall of Batumi Art State University (3rd stage)
10:00-15:00 (Session – time-limit - 20 min).

Session Chair – Khatuna Managadze

1. Sophiko Kotirkadze *(Georgia)* – Phonograph Recordings of Georgian Folk Music in Foreign Archives
2. Tamaz Gabisonia *(Georgia)* – On the Hymn Genre in Georgian Folk Music
3. Viktoria Samsonadze *(Georgia)* – Meskhetian Chona – Discovered Examples
4. Alexandra Balandina *(Greece)* – The Urban Tavern as a Living Space for Folk Music Transmission: From the Café-Aman of Late Nineteenth-Century Athens to the Contemporary Case of Klimataria Tavern
5. Gvantsa Maisuradze *(Georgia)* – "Pearl of the Mountains" – The Glola Subdialect and Musical-Folkloric Traditions
6. Olga Lidia Kozłowska, Agnieszka Przybylska *(Poland)* – Songs Along the Path of Life: Bringing Polish and Georgian Traditional Songs into Dialogue

Break – 15 min

Session Chair – Tamaz gabisonia

1. Vazha Zubashvili *(Georgia)* – The Folklore of Akhmeta and Firuza Aliashvili
2. Robert Rick *(Hungary)* – Expanding the perspectives of Georgian folk song analysis
3. Natalia Zumbadze *(Georgia)* – For the study of polyphonic songs from the 2007 Imereti expeditions
4. Jan Dewilde *(Belgium)* – Sacred Sounds across Borders: Flemish Musical Transfers in Ireland and Colonial Congo
5. Maka khardziani *(Georgia)* – Women's Vocal Laments in Svaneti
6. Maya Gelashvili *(Georgia)* – Transformation of Traditional Musical Heritage in Guria: From Philimon Koridze's National Initiative to the Soviet Collective Farm Model (Based on Archival Materials from the 1920s-1950s)

November 7, Saturday

Conference Hall of Batumi Art State University (3rd stage)
10:00-15:00 (Sessi on – time-limit - 20 min).

Session Chair – Maka khardziani

1. Abdullah Akat *(Turkey)* — Audiovisual Scholarship, Scholarly Communication, and Emerging Infrastructures in Ethnomusicology
2. Ekaterine Oniani *(Georgia)* — Colophons and Marginalia in Liturgical Manuscripts of Ambrosi Nekreseli
3. Andrea Durlo *(Italy)* — A brief overview of Church Music
4. Teona Benashvili *(Georgia)* — The History of Ethnomusicological Research into Adjarian Traditional Music
5. Otar Kapanadze *(Georgia)* — On a Forgotten Genre of Svanetian Musical Folklore
6. Mariam Seturidze *(Georgia)* — The Phenomenon of Maro Tarkhnishvili in Georgian Folklore

Break – 15 min

Session Chair – Ekaterine Oniani

1. Tamar Chkheidze *(Georgia)* – From Theological Meaning to Musical Model: The Sticheron “Romeli Edems Shina Odesme” and Its Melody in the Georgian Liturgical Tradition
2. Constantin Răileanu *(Romania)* — The theory book of psaltic art of Anton Pann in the light of modernity
3. Nun Nino Samkharadze *(Georgia)* — The Hymns of St. Cosmas of Jerusalem for Holy Week
4. Ekaterine Kazarashvili *(Georgia)* — Compositional Features of the Nativity Canons of the Kartlian-Kakhetian School
5. Gocha Bidzinashvili, Tamar Ghurtskaia *(Georgia)* — At the Origins of Transcribing Georgian Church Chant into Musical Notation (Based on Newly Discovered Archival Materials)

SOPHIKO KOTRIKADZE *(Georgia)* – Ethnomusicologist, doctor of Culture Studies. Since 2014, she has worked at the Museum of Georgian Folk Songs and Instruments of the Art Palace. She is a participant of various projects; among them is the author of the collection "Acharan Folk Songs", compiler of the "Catalogue of Musical Instruments" and musical collection of instrumental music. Currently, as a young scientist, she is involved in the project "Genres of Georgian Traditional Music", funded by the Shota Rustaveli National Science Foundation. She is a member of "Nanina" creative group of ethnomusicologists; Her scholarly interests include the issues of folk music from the Soviet and post-Soviet periods, of Georgian traditional instrumental music and folk music performance. She has delivered papers at about 20 local and international scientific conferences, including ethnomusicological forums in Prague (2014) and Istanbul (2019). Is the winner of Caroline Adams Award for best essay (2020). She has published 10 scientific works.

Email: sopiko.kotrikadze.1@iliauni.edu.ge

PHONOGRAPH RECORDINGS OF GEORGIAN FOLK MUSIC IN FOREIGN ARCHIVES

Invention of phonograph by Thomas Edison in 1877 was one of the most significant events for humanity. Georgian folk songs were recorded on phonograph wax cylinders by both Georgian and foreign ethnomusicologists. Phonograph recordings of Georgian folk music are preserved in various archives across the world. Georgian choirmaster and researcher Anzor Erkomaishvili made a great contribution to searching for these records. He found and published a catalog of Georgian phonograph recordings abroad.

The paper has been prepared within the framework of the project "History of Ethnomusicology in Georgia", supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Basing on Anzor Erkomaishvili's catalog, the paper discusses the materials preserved in the archives of Latvia, Russia, England, France, Germany, and Austria. In addition, the paper draws on the reports presented at the international symposia on traditional polyphony of Tbilisi State Conservatoire at various times, as well as the audio materials at my disposal.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). [GSDP 26-364 "History of Ethnomusicology in Georgia"]

TAMAZ GABISONIA *(Georgia)* — Doctor of Music, ethnomusicologist, Associate Professor at Ilia State University, director of the Ilia State University students' folk choir, former Dean at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant. Graduated from the Department of Musicology of Tbilisi State Conservatoire (1986), defended a doctoral thesis on the forms of Georgian traditional polyphony (2009). Research interests have concentrated on the issues of traditional polyphony, interrelation between Georgian folk song and church hymns, and their performance, music and semiotics, religion and music. Has 70 scientific papers. Has participated in a number of national and international scholarly conferences, Erazmus+ projects and field expeditions.

Email: tamazgabisonia@gmail.com

ON THE HYMN GENRE IN GEORGIAN FOLK MUSIC

Georgian musical folklore contains a considerable number of vocal examples with a hymnic, glorifying function, although these are usually grouped together under "ritual" or "Soviet dedication" genres. I believe that such songs or festive chants, despite their stylistic diversity, can be conceived of as a single genre — the "hymn" — due to the precise correspondence of their motif, content, and scale.

A hymn may be an address to a deity, to a hero, or may be patriotic or ideological in its motivation. Beyond this, the hymn genre should also be distinguished by its musical characteristics: an example should be solemn in character, sung in synchronously, with a measured, stately movement; it should not have clearly foregrounded solo parts, and its instrumental accompaniment should be equal in role to the vocal line.

A distinguishing feature that sets the hymn genre apart from other ritual glorifications may be the absence of a liturgical function and of calendrical regulation.

The most fitting examples of the hymn are the Svan sadidebeli (glorification songs) and the short mravalzhamieri; among patriotic songs, notable examples recorded at the turn of the 19th-20th centuries include "Gantiadi" (Dawn), "Vina st'q'va" (Who Said), "Kidevats daizrdebian" (They Will Grow Up Too), "Marseliosa" (The Marseillaise), and others, as well as authored songs of the 20th century.

VICTORIA SAMSONADZE *(Georgia)* – Ethnomusicologist. Victoria Samsonadze graduated from Tbilisi State Conservatoire with a specialization in folklore. She is a co-founder of the ethnomusicologists' creative group Nanina and one of the founders and organizers of the Nanina Festival. She has been engaged in teaching for three decades. In 2024, she was awarded the status of Leading Teacher.

Her teaching experience includes university-level lecture courses, as well as music, vocal, arts, and folk singing classes in public and private schools. She is the author of the children's radio program "Jadosnuri Uremi" (The Magic Cart) for Folk Radio; the initiator and project director of the Nanina ensemble's CD Nanina's Big Family – A Singing Posterity (2023); music director of the music collection Songs from Nanina's Repertoire (2025); and initiator and music director of the Folk Karaoke project (2026).

She is the author/co-author of the articles "Lazeti" and "Meskheti" in the anthology Georgia: History, Culture, Ethnography. Currently, she works as a lotbari (folk music instructor) and consultant for the Samtskhe-Javakheti Salotbaro Schools of the State Folklore Centre. She is involved in a number of research projects and participates in local and international academic forums in Georgia and abroad.

Email: vikanababi@gmail.com

MESKHETIAN CHONA – DISCOVERED EXAMPLES

The paper is based on previously unstudied and mostly unpublished musical recordings of Meskhetian Chona discovered in the field and archival materials of Valerian Maghradze. Alongside songs recorded under the name Chona, the materials also contain examples of Easter hymns. The discovered material significantly expands the existing understanding of the geographical distribution of Chona and provides a new basis for the study of its musical, ritual, and textual characteristics. Important ethnographic information and texts on Meskhetian Chona are provided by Sergi Makalatia, whose work represents one of the important primary sources for this research.

A comparison of Chona and Alilo traditions preserved in different regions of Georgia points to their common archaic features: door-to-door processions, musical greetings, the collection of gifts, wishes for abundance and prosperity, and ancient ritual beliefs integrated into Christian celebrations.

Of particular interest is the traditional Chona formula "Alatasa-Balatasa," whose semantic meaning remains unknown. In Meskhetian examples, the variant "Alantasa-Balantasa" is recorded repeatedly and directly corresponds to the names of the villages Alanta and Balanta in Meskheti. Our hypothesis is that this may have been the original form of the Chona text, which, as it spread to other regions and lost its toponymic meaning, became established in a modified form.

ALEXANDRA BALANDINA *(Greece)* — Professor of Ethnomusicology at the Department of Music Studies, School of Music and Audiovisual Arts, Ionian University, Greece. Born in Tashkent, Uzbekistan, her research brings together ethnomusicology, social anthropology, and audiovisual studies, with a particular focus on the musical cultures of the Middle East, Central Asia, Iran, the Balkans, and Eastern Europe.

She received her PhD and MA in Ethnomusicology from Goldsmiths, University of London, under the supervision of Professor John Baily, and holds a BA in Social Anthropology from Panteion University of Social and Political Sciences, Athens. Her doctoral research examined contemporary tombak performance practices in Iranian art music through long-term ethnographic fieldwork.

Professor Balandina has conducted extensive fieldwork in Iran, Uzbekistan, Greece, and North Macedonia. Her research interests include musical performance, ethnography, audiovisual ethnomusicology, Cold War radio broadcasting, and the intersections of music, politics, and cultural heritage. She is the author of the open-access book Ethnographic Research in Ethnomusicology (currently being translated in English and Georgian, by the Chant University of Tsbilisi).

Before joining Ionian University, she taught at the University of Ioannina, Panteion University, and served as Lecturer and Director of the MA in Ethnomusicology at the Irish World Academy of Music and Dance, University of Limerick, Ireland. Alongside her academic work, she is an active percussionist (tombak, bendir, and daf) and for seven years, till 2025, she was member of the Intercultural Orchestra of the Greek National Opera.

Email: abalandina@ionio.gr

THE URBAN TAVERN AS A LIVING SPACE FOR FOLK MUSIC TRANSMISSION: FROM THE CAFÉ-AMAN OF LATE NINETEENTH-CENTURY ATHENS TO THE CONTEMPORARY CASE OF KLIMATARIA TAVERN

Urban taverns have long functioned as important cultural spaces in which folk music remains embedded in everyday social life, providing environments where musical traditions are preserved, transmitted, and continually reinterpreted through collective participation. In rapidly changing urban contexts, taverns offer opportunities for musicians and audiences to engage with folk music as a living practice, sustaining cultural continuity while allowing for adaptation to new social realities.

This paper examines the urban Greek tavern as a living space for the performance and transmission of folk music. Historically associated with practices of sociability, music-making, and collective entertainment, the tavern forms part of a broader urban musical culture that developed in Athens from the late nineteenth century onwards. Within this cultural landscape, venues such as the café-aman facilitated encounters among diverse musical traditions of the Eastern Mediterranean, while later representations of tavern life in Greek cinema established a powerful association between rebetiko music, everyday social experience, and popular notions of authenticity.

Against this historical and cultural background, the paper focuses on the Athenian tavern Klimataria (est. 1927) as a contemporary case study. Drawing on participant observation and interviews with owners and musicians, it explores how live musical performance, audience participation, singing, dancing, and informal social interaction contribute to the ongoing transmission of urban folk and rebetiko traditions. Particular attention is given to the informal processes through which musical knowledge, repertoire, performance practices, and cultural values are shared among musicians and audiences.

The paper argues that, despite the pressures of tourism, digital mediation, and changing audience demographics, the urban tavern continues to operate as a vital site of intangible cultural heritage. Far from being a museum of tradition, it remains a dynamic social environment where preservation, innovation, and

participation coexist. By nurturing both musicians and audiences, the tavern ensures that folk music remains a vibrant and evolving part of urban culture while fostering collective memory, social cohesion, and a sense of belonging within the contemporary city.

GVANTSA MAISURADZE *(Georgia)* — Georgian ethnomusicologist currently pursuing a Master's degree in Ethnomusicology at Chant University. She also holds a Master's degree in Arts and a Bachelor's degree from Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business.

Her current research focuses on the folklore of Racha, Georgia. From 2020 to 2026, she has conducted independent field expeditions, collecting and documenting traditional songs, musical practices, and cultural traditions. In her research, she combines her own fieldwork materials with existing academic literature and archival sources.

Her main research interests include Georgian folklore, traditional Georgian folk music, Georgian church chanting, and the study, preservation, and revival of traditional songs, customs, and cultural practices of Old Georgia.

Email: Gvantsa1677@gmail.com

“PEARL OF THE MOUNTAINS” – THE GLOLA SUBDIALECT AND MUSICAL-FOLKLORIC TRADITIONS

The present paper examines the linguistic and musical-folkloric characteristics of Glola, one of the oldest villages in Mountainous Racha. The village of Glola is of particular interest from both dialectological and ethnomusicological perspectives. According to Varlam Topuria’s classification, dialect of Glola constitutes one of the distinct subdialects of the Racha dialect and differs from other varieties of Rachan speech through its archaic lexical and grammatical features.

The study draws upon both scholarly literature and fieldwork materials collected by the author during a field expedition to Glola in 2025. Archaic words and forms continue to be attested in contemporary spoken language, some of which can also be found in Old Georgian written sources. This phenomenon indicates the preservation of archaic linguistic layers within the Glola subdialect.

Glola is also of particular significance from the perspective of musical folklore. Mountainous Racha is home to vocal forms associated with lamentation and traditional labor practices, namely “korkali” and “zruni.” Historically associated with women’s labor, particularly haymaking, korkali has, under contemporary conditions, shifted into the sphere of everyday life and evolved into a form of musical expression through which personal sorrow and emotional experience are conveyed. The author’s field recordings confirm the continued existence of this tradition in Glola.

The paper explores the relationship between Glola’s linguistic and musical traditions, their archaic layers, and the processes of their transformation in the contemporary context. The study demonstrates that Glola represents a significant cultural space in which linguistic and musical heritage continues to retain characteristics of a living tradition.

OLGA LIDIA KOZŁOWSKA *(Poland)* — is a psychologist, somatic psychotherapist, university lecturer at the University of Wrocław, singer, and voice researcher. For more than ten years, she has been actively promoting Georgian musical traditions in Poland. Her teachers and mentors include Frank Kane, Nino Naneishvili, Madona and Ana Chamgeliani, the Turmanidze family, and Zurab Tskrialashvili of the Basiani Ensemble. Since 2011, she has led Authentic Voice workshops in Poland, the Czech Republic, Slovakia, France, and Germany. Together with the Chórtownia Foundation, she organises journeys to Georgia as part of the Journey to the Source of Songs series. From 2019 to 2022, she led the Nana Choir in Wrocław, where she met the other members of Trio usakhelo.

Email: olga.kozlowska@gmail.com

AGNIESZKA PRZYBYLSKA *(Poland)* — is a music therapist, somatic practitioner, and cultural facilitator. She graduated from the Academy of Music in Łódź, where she studied Music Therapy and Somatics in Dance and Therapy. She leads body and voice workshops, sound relaxation sessions, and music classes for children. She has organised and carried out social projects focused on bodywork, music, and polyphonic singing. She is also involved in Polish traditional music and traditional Polish dance.

Email: aga.przybylska94@gmail.com

SONGS ALONG THE PATH OF LIFE: BRINGING POLISH AND GEORGIAN TRADITIONAL SONGS INTO DIALOGUE

At the conference, we would like to give two 15-minute performance-based presentations exploring an encounter between Polish and Georgian singing traditions. Through performances of songs from both cultures, we aim to explore similarities and differences in the ways fundamental human experiences are expressed across different cultural and geographical contexts.

Each presentation will focus on a different repertoire associated with a particular stage or dimension of human life: (1) lullabies and (2) songs reflecting on impermanence, transience and the passage of time. Together, they form a symbolic cycle — from birth to death. We have chosen these themes not only for their universal relevance, but also because they are rooted in our own experience of working with both Polish and Georgian repertoires.

The songs will be brought into dialogue in two ways: through thematic, contextual parallels and through direct musical interaction, including intuitive harmonic combinations. Some songs will be performed in their entirety, while others will be interwoven to create musical dialogues in which affinities, contrasts, and unexpected resonances can emerge.

We are particularly interested in showing how songs from distinct traditions can enter into dialogue when sung alongside one another or brought together within a shared musical texture.

Our performance is not intended as a comparative ethnomusicological analysis of Polish and Georgian musical traditions. Rather, it offers the perspective of performers for whom these repertoires form part of a living musical practice. By bringing Polish and Georgian songs into direct dialogue, we hope to invite the audience to experience how shared dimensions of human life can be revealed through music.

VAJA ZUBASHVILI *(Georgia)* — PhD in Audio-Visual Arts, Associate Professor and Head of Documentary Film Department at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University.

Has directed more than 30 documentaries (some of those have received prizes from international film festivals), has published monography and scientific works on documentary film, tele-directing, and TV advertising. After graduating from Film Faculty of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, he worked in Georgian scientific-popular and documentary film studio Mematiane, in TV broadcastings Metskre Arkhi, Iberia, and Mze. He is currently occupying a position of Head of Georgian Public Broadcaster´s Film-Photo-Video Funds.

E-mail: v.zubashvili@gpb.ge

THE FOLKLORE OF AKHMETA AND FIRUZA ALIASHVILI

My paper cannot claim to be a study – it will probably read more as an essay about the folklore of Akhmeta that has lodged itself in my childhood memory.

The city of Akhmeta belongs geographically to Kakheti, situated at the very head of the Alazani lowland, where the Alazani River, descending from the mountains, exits the Pankisi Gorge and, skirting Bakhtioni Hill, flows down onto the Kakhetian plain. Here, in Akhmeta, the folklore of the mountains and the plains meet, as do Christianity and paganism. Industry was fairly well developed in the city, and the demand for labor contributed to the diversity of its population. Specialists continue to study and observe the folklore of Akhmeta to this day. In my memory, at festivals, weddings, and funerals, what was performed were primarily folk songs of secondary origin, accompanied by the drum, accordion, and clarinet. The same songs were sung at gatherings. I can barely recall any traditional Kakhetian polyphonic or other such performances. There were, however, solo performers who sang mountain songs – Mtiuluri, Tushuri, or original compositions – accompanied by the chonguri. For a certain period, the amateur choir of the Akhmeta Cultural Center was well known; it was led at various times by incomparable soloists, choir director and performer Giorgi Papalashvili, and Dodo Ushikishvili.

In the archives of the Public Broadcaster, Georgian Radio, 19 recordings made between 1951 and 1965 by the Akhmeta Amateur Song Ensemble are preserved. A member of this same ensemble was Firuza Aliashvili, an unrivaled master of the unstopped salamuri (a traditional flute), recordings of whose performances, dated 1951-52 and 1963, are held in the collection.

While searching for certain photographic material for a film at the Akhmeta Museum, I came across a photograph of Firuza Aliashvili. Suddenly, hazy images began surfacing in my memory – Firuza was constantly on the move and often appeared in our neighborhood too, a man of unusual build, always with his inseparable salamuri. I recalled rumors that circulated: “Firuza sold her body,” people said. It seems that anatomical pathologists had taken an interest in him – in his phenomenal lungs, I believe, rather than in his skeletal structure.

Since I had heard almost nothing more about Firuza, my main inspiration became the search for his traces and the myth surrounding him.

I questioned the elder of my neighborhood, Fepo Bodaveli, about what she remembered of Firuza, and – most importantly – I traveled to his native village of Khorbalo, a small village at the edge of the forest beyond Bakhtioni, at the end of sweeping fields. I gathered accounts from one of his relatives (this same person had several articles dedicated to Firuza, bound by hand into a small book), visited and photographed his grave, and the homestead from which Firuza Aliashvili was carried on his final journey.

